ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 3 (8)

8 II 1991



ვან-რაი-ელოჲ წიგნი

დღესა შინა სასჯელისასა
და მე ქედდადრეკილი
წარმოგიდგე განკითხვად.
მსაჯული მართლ სჯიდე,
მსახურთა რისხვაი კროდის.
მართალნი ნეტარებდნენ,
ცოდვილთა ჰგვემდეს
ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე,
იესუ ჩემო!

●

უკვდავი და დიდებისა მოყვარე და მეფობისა ტრფიალი მედვა ბუნებაი, და არა მიოდეს მოვიხსენებდი დღესა ამას სამარადისოდ საფლავსა მისვლისა ჩემისასა, და მე უძლე დატევებად საწუთროი ვიდრე არა დამიტევა მე საწუთრომან და დამძიმებული ცოდვათა სიმრავლითა მწუხარე და განმიყვანა წინაშე მსაჯულისა.

**დავით აღმაშენებლის „ანდერძიდან“.**

●

და თქვენ, შემდგომად მოამავალნო მეფენო! ჩემსა ეკლესიასა და მონასტერსა ანდერძითა ამით შეჰვედრებ წინაშე ღმრთისა შეკრებასა ჩვენსა, რომელ არ სირცხვილისა თანამდებად იხილვნეთ ღმრთისა და ანგელოზთა მისთაგან, მოიხსენნეთ ვედრი ჩემი და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს; ჰნახევდით გულსმოდგინებით ქმნილსა ჩემსა ეკლესიასა და ნუ ოდესვის გაარყვნევთ კვლა მას დიდებულსა ლავრასა!

**„ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კომუნისტურ საზოგადოებაში პატიოსან კაცს არ ედგომება...“

**დრო, რომელშიც ჩვენ მოგვიწია ცხოვრება, სავსეა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ძვრებით. ჩვენ მოწმენი და თანამონაწილენი ვართ უდიდესი და უბოროტესი იმპერიის ნგრევისა. ეს იმდენი სასიხარულო თუ სამწუხარო, საზეიმო თუ ტრაგიკული, მსხვილმანი თუ წვრილმანი განცდით ავსებს დღევანდელ დღეს, რომ სულ ახლო წარსულის მოვლენები დიდი ხნის წინათ გარდახდენილ და გარდასულ ამბად გვეჩვენება, გუშინდელ პრობლემებს დღეს უკვე დაკარგული აქვს აქტუალობა, ხვალინდელი პროცესები დღევანდელის სიმძაფრეს წაშლის. ამით არის მშვენიერი ჩვენი დრო. მეგობარი, მტერი, მოყვარე, მოკავშირე, მოწინააღმდეგე, დღეს არავინ არის გულგრილი. ჩვენი ყოფა სავსეა [illegible] და ეს არის საფუძველი და გარანტი ჩვენი უკეთესი მომავლის, რადგან ამ გამოცოცხლებას, ფიქრს, იმედს, წუხილს, ბრძოლას, მოლოდინს უკვე ვეღარაფერი გადაშლის.**

**მაგრამ რაოდენ დაძაბული, არ უნდა იყოს აწმყო, რაოდენ იმედიანი მომავალი, არსებობს მოვლენები, რომლებიც თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო არასდროს კარგავენ აქტუალობას. მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თავისი ხასიათით სრულად გამოხატავენ ან ასახავენ მთელ თავის დროს ყველა დამახასიათებელი თვისებით, მთელი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ყოფით, ზნეობრივი თუ იდეოლოგიური ტენდენციებით, კონკრეტული თუ ზოგადი პროცესებით.**

**ამგვარ მოვლენათა რიგს განეკუთვნება 1983 წლის 18 ნოემბერს რამდენიმე ქართველი ახალგაზრდის მიერ თვითმფრინავის გატაცების მცდელობის ტრაგიკული ისტორია. ამ უმძიმესი ამბის ყველა დეტალში სრულად გაამჟღავნა თავისი თავი მაშინდელმა დრომ, იგი იქცა მთელი ამ უსამართლობის, უზნეობის, განუკითხაობის, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი საყოველთაო ტერორის გამომხატველ არსად, რომელსაც რატომღაც უწყინარ სახელს — უძრაობის ხანას უძახიან საბჭოთა კავშირში. ბუნებრივია, ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა „არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა“. ეს არის ინტერესი ჩვენივე წარსულის მიმართ, მისი განცდა, შეფასება, გადაფასება...**

**რედაქციამ რამდენიმე ყველაზე ტიპიური შეკითხვით მიმართა ამ შემზარავი ისტორიის შემსწავლელი სადეპუტატო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ვიქტორ დომუხოვსკის.**

**— არსებობს თუ არა რაიმე ზოგადი პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო თქვენი კომისიის შექმნას?**

— ის, რაც მოხდა არ უნდა განმეორდეს არასოდეს!

ეს არის ყველაზე ზოგადი და ყველაზე მთავარი პრინციპი.

**— ალბათ, კონკრეტული მიზნებიც გაქვთ.**

— ჩვენ გვინდა გავიგოთ, რატომ იყო ასეთი მძაფრი დაინტერესება ხელისუფალთა მხრიდან აუცილებლად სიკვდილით დაესაჯათ ოთხი ახალგაზრდა და როგორ განხორციელდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე იმგვარი ზეგავლენა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ახალგაზრდათა სიკვდილით დასჯას მოითხოვდა, ზოგი საკუთარი ნებით, ზოგი კი აშკარა ძალდატანებით. ჩვენ ამ საქმის იურიდიულ მხარესაც ვსწავლობთ და დარღვევებიც ბევრი აღმოვაჩინეთ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, პირადად ჩემთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ამ მოვლენის მორალურ-ეთიკური მხარე.

საზოგადოების ზნეობრივმა სისუსტემ დასაყრდენი მისცა მაშინდელ მთავრობას დაუსჯელად განეხორციელებინა თავისი მიზნები.

ამ საქმემ პირველად დაუპირისპირა ერთმანეთს ფართო საზოგადოება და ტოტალიტარული რეჟიმი. მანამდე მხოლოდ ერთეულები ებრძოდნენ იმპერიას, ეს ბრძოლა პიროვნული გმირობის ხასიათს ატარებდა და არა საზოგადოებრივი პროტესტისა და უკმაყოფილების სახეს. 14 აპრილიც მხოლოდ კონკრეტული უკანონობის წინააღმდეგ მასობრივი რეაქციის გამოხატვას გავდა და შესაძლოა, ხელისუფალთა მიერ ეს დაგუბებული ეროვნული წინააღმდეგობა 80-იანი წლების დასაწყისამდე აღიქმებოდა მხოლოდ როგორც სენტიმენტული, არატიპიური, პიროვნულ თვისებებზე დამყარებული უმნიშვნელო, სუსტი პოტენცია. თვითმფრინავის გატაცების ჯგუფურმა მცდელობამ, ამ ქმედებაში ჩადებული პროტესტის აშკარა, პლაკატურმა გამოხატვამ და საზოგადოების მიერ ამ ფაქტისადმი საკუთარი დამოკიდებულების ხმამაღლა გამოთქმის გაბედვამ. მაშინდელი მთავრობა შეაშფოთა. ფრაგმენტებმა, კონკრეტულმა შემთხვევებმა უკვე ტენდენციის ხასიათი მიიღო. საზოგადოების რეაქცია იყო პრეტენზია პირადი თავისუფლების, პირადი დამოკიდებულების, პირადი არჩევანის მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების გამოხატვის მცდელობისა. ხელისუფლებამ საზოგადოების გამოფხიზლებას სასტიკი ანგარიშსწორება დაუპირისპირა.

**— როგორ ფიქრობთ, მიაღწია თავის მიზანს ამ პოლიტიკამ?**

— იმ მომენტში მიაღწიეს, შესძლეს ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომ „ინტელიგენციის“ გარკვეული ნაწილი შეუშინდა თავის „ურჩობას“, თავისუფლებისა და არჩევანის განხორციელების ბუნებრივ მოთხოვნილებას. „მოინანია“ თავისი „ადამიანური სისუსტე“ და მისცა საშუალება მთავრობას კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა, რომ პარტია და ხალხი ერთიანია.

**— დიდი ენერგია დაიხარჯა ამის მისაღწევად?**

— კი, ცხადია, მაგრამ ამ შემთხვევაში პარტიამ გასაოცარი ორგანიზებულობა გამოიჩინა, უმოკლეს დროში განახორციელა უძნელესი ამოცანა — აეძულებინა ცალკეული პიროვნებები ეთქვათ უარი პირად ღირსებაზე. განაჩენი 13 აგვისტოს გამოიტანეს. 15-20 რიცხვში სახელოვანი ინტელიგენციის ხელმოწერები შეწყალების მოთხოვნით უკვე შეგროვილი იყო. ტელეგადაცემის მეორე დღიდანვე, 24 აგვისტოდან, გაიშალა კამპანია: ყველა დონეზე ხორციელდებოდა დაწოლა ინტელიგენციაზე მისი ნების გატეხვის მიზნით. ხელისმომწერთ იბარებდნენ პარტკომებში, სამინისტროებში, ცკ-ის განყოფილებებში. ითხოვდნენ უკან წაეღოთ ხელმოწერები. განსაკუთრებულად „ურჩ“ პიროვნებებს თავად ედუარდ შევარდნაძესთან პირადი შეხვედრის „ბედნიერებაც“ ხვდათ წილად. პირადად ამუშავებდა პირველი. მოკლედ, ყველა ხერხი გამოიყენეს.

**— ბევრმა დაიხია უკან?**

— არა, სულ 44 კაცმა წაიღო თავისი ხელმოწერა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამდენი დოკუმენტი გვაქვს.

**— სულ რამდენმა კაცმა მოაწერა შეწყალებაზე ხელი?**

— 100-ზე ოდნავ მეტი ხელმოწერაა ამჟამად ჩვენს ხელთ. უცრემლოდ შეუძლებელია ამ სიების კითხვა: სტუდენტები, დიასახლისები, მუშები... სულითხორცამდე შემძრა ხელისმომწერთა შორის ნანა სამარგულიანის გვარის ამოკითხვამ. არიან სხვებიც, ნოდარ წულეისკირი, გიორგი შენგელაია, ჭაბუა ამირეჯიბი, თემურ ქორიძე, მაია ნათაძე...

ზოგი უბრალო ფურცელზეა დაწერილი. ბევრი პირდაპირ იწყებს, ყოველგვარი მიმართვის გარეშე „გთხოვთ შეიწყალოთ და შეუნარჩუნოთ სიცოცხლე“...

არ შეიძლება არ ითქვას ბატონი გოგი ოჩიაურის შეუპოვარ წინააღმდეგობაზე. ბ-ნ გოგის ეკუთვნის ჭეშმარიტად ბრძნული ფორმულირება — „მე ჩემი ხელმოწერით განაჩენის კანონიერებას არ ვაყენებ ეჭვის ქვეშ. მე მხოლოდ ოთხი ახალგაზრდის შეწყალებას მოვითხოვ“ ბ-ნი გოგი ერთადერთი იყო, ვინც სუკ-ში დაიბარეს. მაინც ვერ დაახევინეს უკან.

ქ-მა მარიკა ლორთქიფანიძემაც გაიარა გზა პარტკომიდან პირველამდე. განათლების მინისტრის დ. ჩხიკვიშვილისადმი მიცემულ ზეპირ ახსნა-განმარტებაში ქ-მა მარიკამ ბრძანა... თუმცა ჯობია ციტატას წაგიკითხავთ: „თხოვნას შეწყალების შესახებ, რომელსაც მე მოვაწერე ხელი, არ დაუყენებია ეჭვის ქვეშ სასამართლოს იმ განაჩენის კანონიერება და სამართლიანობა, რომელიც გამოტანილ იქნა ოთხი დამნაშავის მიმართ.

როდესაც მე მომმართეს თხოვნით, მე, დედამ, შესაძლებლად ჩავთვალე ხელი მომეწერა წერილზე, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დედების სახელით თხოვდა, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, დამნაშავეთათვის სიცოცხლის შენარჩუნებას და პატიმრობის უმაღლესი ვადის მისჯას, რათა მათ მკაცრი რეჟიმის პირობებში ნაწილობრივ მაინც გამოესყიდათ შრომით თავისი უმძიმესი დანაშაული სამშობლოსა და ხალხის წინაშე“. დოკუმენტს, რომელიც მინისტრის მიერ არის შედგენილი „მოკრძალებული“ მინაწერი აქვს თავად მინისტრის ხელით შესრულებული: „ტექსტი ჩაწერილია სიტყვა-სიტყვით პროფ. მ. ლორთქიფანიძის კარნახით“.

მოგვიანებით ქ-ნი მარიკა შევარდნაძესთან გამოიძახეს. პირველმა მისთვის ჩვეული ნიჭიერებით გაითამაშა გულისამაჩუყებელი სცენა. შეწუხებული დახვდა ქ-ნ მარიკას, რატომ არ მომეცით ბავშვების გადარჩენის საშუალება, თქვენმა ხელმოწერებმა დაღუპა ისინიო. ბატონი ედუარდის სიტყვები იმდენად დამაჯერებლად ჟღერდა, რომ ქ-ნ მარიკას ლოგიკური კითხვა გაუჩნდა, თუ გადარჩენა გინდოდათ 24 აგვისტოს რატომ ჩვენმა პრეზიდიუმმა არ შეიწყალაო.

კითხვა უპასუხოდ დარჩა, ალბათ, მრავლისმეტყველმა მზერამ შეცვალა იგი. აუდიენცია, ბუნებრივია, სწრაფად დამთავრდა.

**— კიდევ ხომ არ გვიამბობთ რამეს?**

— წაგიკითხავთ ბ-ნ გიგა ლორთქიფანიძის სიტყვებს ჩვენი კომისიის ერთ-ერთი სხდომის ოქმიდან: „მე ვნახე 72-საათიანი ვიდეო მასალა გადაღებული სასამართლოზე. ეს იყო ულამაზესი ხალხის მოსპობა. ანგელოზები იყვნენ. მე მომთხოვეს ამ მასალის დამონტაჟება და მაყურებლისათვის ჩვენება, რაზეც უარი განვაცხადე, თან ამ ვიდეო ფილმის ყურების შემდეგ მაგარი გულის შეტევა მომივიდა. საავადმყოფოში დამაწვინეს. იქ ჩემთან რიგ-რიგობით მოვიდნენ თ. ბადურაშვილი, ნუგზარ ფოფხაძე, ავთო საყვარელიძე და მთხოვეს უკან წამეღო ჩემი ხელმოწერა. ყველას რომ უარი ვუთხარი, ღამის 2 საათზე გამომაგდეს საავადმყოფოდან“.

**— მე მესმის რომ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ინტერესი ამ საკითხის მიმართ ძალიან დიდია, ხომ არ დაგვისახელებდით კიდევ რამდენიმე გვარს, ვინც არ გატყდა?**

თუნდაც ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები: პაიჭაძე, სანეევი, კარტოზია. ასევე მუხრან მაჭავარიანი, მერაბ ბერძენიშვილი... და რაც მთავარია, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქართველი დედების წერილი შეწყალების თაობაზე. ეს ძალიან თბილი და ამაღლვებელი წერილია. მე მინდა ყველა ხელისმომწერის გვარი ჩამოვთვალო. ქართველმა ქალებმა იმ დროსაც ჩვეული სიმტკიცე გამოიჩინეს — თითქმის არცერთმა ქალმა არ წაიღო თავისი ხელმოწერა უკან: ვ. ანჯაფარიძე, ს. ჭიაურელი, მ. ნათაძე, ნ. ალექსანდრია, მ. შანიძე, თ. ციციშვილი, მ. ლორთქიფანიძე, მ. აბრამიშვილი, ნ. ხარაძე, ნ. ფალავანდიშვილი, თ. იმხნელი, ა. კალანდაძე, მ. გომელაური, ლ. გორდელაძე, ნ. ჩიქვინიძე, გ. კვარაცხელია, ა. კაკაბაძე, ელ. ჩხიკვაძე, ელ. ვირსალაძე. ისევე როგორც 9 აპრილს, 1984 წელსაც ქართველი დედები გადაეფარნენ თავის შვილებს. საუბედუროდ, ვერ გადაარჩინეს.

**— მართლაც, ამაღელვებელია თქვენი მონათხრობი... ჩვენი გაზეთი კიდევ დაუბრუნდება ამ თემას... ბოლო კითხვა ბატონო ვიქტორ, რამდენად იყო პრაქტიკაში იმ დროს სიკვდილმისჯილის შეწყალება და არსებობდა თუ არა რაიმე შანსი იმისა, თეორიული მაინც, რომ საზოგადოების თხოვნა დაკმაყოფილდებოდა?**

— შეწყალებაზე განხილული განცხადებების რაოდენობა 1962-1989 წლამდე შეადგენდა **144617**, აქედან შეწყალებულ იქნა 5837 ანუ მხოლოდ 4 პროცენტი. ეს ძალიან დაბალი პროცენტია. საქართველოში ოფიციალური ხელისუფლება ამ ციფრით კიდეც ამაყობდა, რადგან ეს გაცილებით დაბალი პროცენტი იყო სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, და ალბათ, თვლიდნენ რომ ეს ქართველ ხელისუფალთა განსაკუთრებულ „პრინციპულობაზე“ მიუთითებდა. ეს იყო მოსკოვისადმი ერთგულების დამტკიცების ერთ-ერთი საშუალება. ამით ქართველმა კომუნისტებმა იმას მიაღწიეს, რომ შეწყალების მოთხოვნის რაოდენობა წლიდან წლამდე საგრძნობლად მცირდებოდა. 1962-65 წლებში საშუალოდ წელიწადში 12000 განცხადება იყო დაფიქსირებული, 72-75 წლებში 5450, ხოლო 82-85 წლებში უკვე მხოლოდ 1626. ამ მშრალ ციფრებში ნათლად ჩანს საზოგადოების იმედგაცრუების მტკივნეული პროცესი. რა აზრი აქვს მოითხოვო შეწყალება, როცა წინასწარ იცი, რომ იგი არ დაკმაყოფილდება.

ყველა ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გვერდით ეს ქართველ კომუნისტთა კიდევ ერთი უმძიმესი დანაშაულია — რწმენისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩაკვლა მილიონობით ადამიანის აზროვნებაში. არ შემიძლია არ გავიხსენო თემურ ჩიხლაძის უკანასკნელი სიტყვა, რომელიც წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მე მხოლოდ ნაწყვეტს გეტყვით, მოგვიანებით მთელ სიტყვას გამოვაქვეყნებთ! **„მე ჩემს ჩვენებაშიც მოგახსენეთ, ბატონო მოსამართლევ, მე დამხვრიტეთ, ოღონდ ესენი გადაარჩინეთ-მეთქი. იცოდეთ, მე ჩემს აზრს არ შევიცვლი. მე თქვენ არ გამოგადგებით არაფერში. ეს ახალგაზრდები კი შეიძლება უფრო გამოგადგნენ. თქვენს კომუნისტურ საზოგადოებაში პატიოსან კაცს არ ედგომება. თქვენ მოწოდებული ხართ, რაც შეიძლება ტანჯოთ მშრომელი ხალხი და მათი ნაოფლარით იფარფაშოთ.**

**მე არ მინდა სიცოცხლე ამ წყობაში. ყოველი ფეხის ნაბიჯზე უსამართლობის, უწესრიგობის და ხალხის აბუჩად აგდების მეტს ვერაფერს ნახავ. თქვენ თუ მომკლავთ და ამით ვინმეს რამე ეშველება, წარბსაც არ შევიხრი. მხოლოდ იცოდეთ, ეს ჩვენი საქმე დიდად გახმაურებულია და ასე ადვილად ჩემი მოკვლა თქვენ კარგს არაფერს მოგიტანთ. მალე თქვენი კომუნისტური პარტია-მოისპობა, ცეკა-ც დაიშლება და ყველანი რელიგიისკენ გაიქცევით“!**

რა გვეთქმის — ამინ!

პუბლიკაცია მოამზადა
**თამარ ებრალიძემ**

# პატივი მეგობრობის ხეს თუ..?

დიადი საბჭოეთის ხალხთა მეგობრობა მრავალი წელი რომ ჰყავის და იფურჩქნება, ეს ჩვენ ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში შევიტყეთ, მაგრამ დღემდე საამური ნაყოფი რატომ ვერ გამოიღო, ნამდვილად ვერ გაგვიგია. ან ვეგეტაციის პერიოდი აქვს ამ ენდემურ მცენარეს უხანგრძლივესი, ან, ვაითუ, ინტერნაციონალისტმა მებაღე-აგრონომებმა ვერ მოუარეს, დააკლეს სასუქი თუ პატივი...

ეტყობა, მეორე ვარაუდი უფრო ახლოსაა ჭკუასთან, აფსუა სელექციონერები შეფუცხუნებულან, უთქვამთ — არიქა, საბჭოური მეგობრობის ხეს ვუშველოთ, მთლად არ გახმეს, სანამ დროა, მივაგებოთ პატივიო!

თქვეს და გააკეთეს, მიაგებეს ზორბა ულუფა — საკავშირო გაზეთი „აბხაზია“.

ეს ამბავი ამ ძვირფასი მცენარის მოყვარულ მებაღეებს გაზეთ „იზვესტიამ“ (10. XI. 90.) ახარა: სსრკ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა ახალი საკავშირო გაზეთი „აბხაზია“, რომლის დამფუძნებელია აფხაზეთის ასსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო. გაზეთი კვირაში 5-ჯერ გამოვა, გავრცელდება საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. „აბხაზია“ გააშუქებს „აფხაზეთის სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხებს, ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლე ხალხების კულტურულ და სულიერ აღორძინებას, ინტერნაციონალიზმის იდეებისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას“.

აფერუმ, რა კარგად მოგიფიქრებიათ! აბა, ახლაც გაბედოს და არ გამოიბას ნაყოფი ინტერნაციონალიზმის ამ მართლა ბაობაბმა! მთელ მსოფლიოს მოსდებენ მისი მცონარობის ამბავს აფსუა სელექციონერები...

ამ ჭირვეული მცენარესთვის ასეთი ზრუნვა-ყურადღება თავის დროზე რომ მიექცია საბჭოეთში მცხოვრებ ყველანაირ ბოტანიკოსს (გინდ მოკავშირეს, გინდ ავტონომიურს), დღეს ბაზარში ვედრა აბაზად გვექნებოდა ტკბილ-ტკბილი ინტერნაციონალიზმი!

ახია ჩვენზე, მეგობრობას პატივი დავაკელით, დაგვენანა!

დღემდე საკავშირო მხოლოდ ერთი რესპუბლიკური გაზეთი ყოფილა — „სოვეტსკაია როსია“ (სკკპ ცკ ორგანო) და კიდევ, სამი წლის წინ „მოსკოვსკაია პრავდას“ გავრცელება დაუწყიათ მთელს საბჭოეთში, მაგრამ, აბა, ეს რას ეყოფოდა! ახლა აფსუების პატივიც დაემატება და ვინძლო ერთი კაკალი მაინც გამოიბას წამლად... მაგრამ... ვაი რომ... გული უნდა დავწყვიტო აფსუა მებაღეებს... გული დავწყვიტო და თვალიც ავუხილო (გამაგრდით, სელექციონერებო!)... საბჭოეთის ხალხთა მეგობრობის ხე ნაყოფს არ გამოიღებს... იმიტომ არა, რომ ცუდად უვლიდით, არც იმიტომ, რომ დრო სჭირდება, არა... იმიტომ, რომ დიადი საბჭოეთის ხალხთა მეგობრობის ხე ხე კი არ არის, (ფუი ეშმაკს!) ორმოა... ცარიელი ორმო... ორმოს კი რამდენი პატივიც არ უნდა მიაგოთ, ნაყოფი არ მოგეგებათ...

**ირაკლი ლომოური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დემოკრატიის ზეიმი აფხაზეთში

**1991 წლის 19 იანვარს სოხუმში ჩატარდა აფხაზეთის დემოკრატიული პარტიის ყრილობა. ყრილობას ესწრებოდა 250 კაცი, მათ შორის ხმის უფლებით — 131. მოწვეულთა შორის იყვნენ აფხაზეთის სახალხო ფორუმის, „აიდგილარას" ლიდერები (შამბა, აჩბა, ყვარჩია და სხვ.), აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ორი ისლამური პარტიის წარმომადგენლები.**

**ყრილობა გახსნა თ. შაყრილმა, თავმჯდომარეობდა დ. ზანთარია.**

**საშუალო სკოლის მოწაფემ წარმოთქვა სიტყვა, წაიკითხა ლექსი, სადაც ხაზგასმული იყო ისლამისა და ალაჰის როლი ხალხთა დამოუკიდებლობის მიღწევისა და მეგობრობის საქმეში.**

**მოხსენებით აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ გამოვიდა გურამ გუმბა (აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი). მან აღნიშნა, რომ გრძელდება მოსკოვისა და თბილისის იმპერიული, კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ და განაცხადა — აუცილებელია აფხაზი ხალხის ინტერესების დამცველი პარტიის შექმნა, რომლის საბოლოო მიზანი იქნება სრული დამოუკიდებლობის მიღწევა კავკასიის მთიელი ხალხების რესპუბლიკის (Горская республика) შექმნის გზით.**

**„აიდგილარას" წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ თუ აფხაზები აფხაზეთში მოსახლეობის 17-18 პროცენტს შეადგენენ, კავკასიის მთიელი ხალხების რესპუბლიკის შემადგენლობაში იქნებიან 1-3 პროცენტამდე, ამიტომ, მათი აზრით, აფხაზეთმა თვითონ უნდა მოიპოვოს დამოუკიდებლობა და მხოლოდ ამის მერე შეუერთდეს მთიელთა რესპუბლიკას.**

**გამომსვლელთა ნაწილი მოუწოდებდა პოლიტიკური დიალოგის გზით გადაეჭრათ ყველა საჭირბოროტო საკითხი, ნაწილი კი მოითხოვდა ყოველი ღონე ეხმარათ დამოუკიდებლობის მისაღწევად და მთიელთა რესპუბლიკის შესაქმნელად. ჩრდილოეთ კავკასიის პარტიების წარმომადგენლების გამოსვლას ისლამის გადამწყვეტი როლის შესახებ მთიელთა რესპუბლიკის შექმნის საქმეში ყრილობა მქუხარე ტაშით შეხვდა.**

**აფხაზეთის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს გ. გუმბა. არჩეულ იქნა პოლიტიკური საბჭო 25 კაცის შემადგენლობით (შაყრილი, გუმბა, ზანთარია, გულია, ბარციცი, კეხერიფა, გიცბა, ლაზბა, სმირი, გვარამია, ყვანჯია, გურგულია, ჯინჯოლია, იულია, ციცხლაძე და სხვ.).**

**ყრილობამ მიიღო მიმართვა აფხაზი, ქართველი, ოსი და ლიტველი ხალხებისადმი. ქართველებს მოუწოდეს მშვიდობიანი, დემოკრატიული გზით გადაჭრან ყველა სადაო საკითხი, გაითვალისწინონ აფხაზების ინტერესები. გაკრიტიკებულია საქართველოს პოლიტიკა შიდა ქართლში, გამოთქმულია მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება გაუწიონ ოსებს. გაკრიტიკებულია აგრეთვე, ერთის მხრივ, მოსკოვის პოლიტიკა ლატვიის მიმართ და მეორეს მხრივ, ლიტველების დამოკიდებულება იმ ხალხების მიმართ, რომლებიც ლიტვაში ცხოვრობენ.**

**ყრილობამ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია. ამ საოცარ, ოდიოზურ უტიფარ დოკუმენტს ყოველგვარი კომენტარის გარეშე ვბეჭდავთ, რადგან ის თვითონ მეტყველებს თავის თავზე.**

# აფხაზეთის დემოკრატიული პარტიის რეზოლუცია

ჩვენ ბრძოლის ახალ ფაზაში შევდივართ. ეს ბრძოლა მდგომარეობს იმ ფაქტის გაცნობიერებაში, რომ ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის ფარგლებში ერის თვითგამორკვევის უფლების განხორციელება შეუძლებელია.

უკანასკნელი წლების მოვლენებმა ცხადად აჩვენა, რომ პარტოკრატიის მიერ ძალაუფლების უზურპაციის პირობებში გარდაქმნით გამოწვეულ დემოკრატიულ ცვლილებებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ არავითარი გარანტიები. ამასთან ერთად, კომუნისტურმა იდეოლოგიამ საბოლოოდ მოახდინა საკუთარი თავის კომპრომენტირება და ჩვენი საზოგადოების ვერცერთ სოციალურ ფენას ვეღარ ეყრდნობა, ხოლო სახალხო დეპუტატთა მეოთხე ყრილობის შემდეგ დაწყებული რეაქციის შემოტევა განპირობებულია დემოკრატიული მოძრაობის სისუსტით... გარდაქმნის დაწყებისთანავე მიზანი რესპუბლიკების ეროვნულ მოძრაობებში შეღწევა იყო. მოქმედებდნენ რა შემოწმებული ადამიანების მეშვეობით, უქმნიდნენ მათ ავტორიტეტს და ბოლოს და ბოლოს მოახერხეს მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობა დემოკრატიული რელსებიდან შოვინისტურ რელსებზე გადაეყვანათ. მოკავშირე რესპუბლიკების მოძრაობებში გაჩნდა ტენდენცია იმპერია დაექუცმაცონ 15 უფრო მტაცებელ მინი იმპერიად. მოხდა ის, რის შესახებაც ანდრეი დიმიტრის ძე სახაროვი გვაფრთხილებდა.

ამას არ შეეძლო არ გამოეწვია მცირე ხალხების დაქსაქსული, მაგრამ ძალუმი მოძრაობების თავგანწირული წინააღმდეგობა. უღებლივ ყველასი, რამაც მრავალრიცხოვანი ცხელი წერტილი შექმნა, სადაც ეთნიკური კონფლიქტები სრულად ვლინდება. ეს ყველაფერი ცენტრსა და მხოლოდ ცენტრს აძლევს ხელს.

70 წლის განმავლობაში მცირე ხალხები რეჟიმისაგან ყველაზე მეტად დაზარალდნენ. განიცდიდნენ რა ცენტრისა და მოკავშირე რესპუბლიკის ორმაგ ზეწოლას. ცენტრის დასუსტების ტენდენციის გამო მოკავშირე რესპუბლიკებმა მცირე ხალხების მიმართ თვითნებობა და ძალადობა დაიწყეს. ეს გარემოება გვაიძულებდა და გვაიძულებს ცენტრს დახმარება ვევედროთ, მაგრამ ცენტრი არათუ უტიფრად უგულვებელყოფს თავის ვალს დაიცვას ძლიერისგან სუსტი, არამედ 15 რესპუბლიკის სეპარატიზმით მცირე ხალხების გულისწყრომას იწვევს. უკანასკნელი წლების შეტაკებები ამ მიზეზით მოხდა. ცენტრი დროზე რომ ჩარეულიყო, სისხლისღვრას ავიცილებდით. მაგრამ ცენტრი არ იღებს გადამჭრელ ზომებს ერთი მიზეზის გამო. ეს გაუთავებელი კონფლიქტები ყველაზე უფრო თვითონ მას სჭირდებოდა, ვინაიდან მდგომარეობის საყოველთაო დესტაბილიზაცია და ხალხების შიში საკუთარი ბედის გამო ხელისუფლებას აძლევს რეჟიმის მოსპობის საშუალებას. არაა ძნელი მისახვედრი, რომ ცენტრი მომავალშიც ასე იმოქმედებს.

აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა ზემოთქმულის ნათელი დადასტურებაა. დღეს აფხაზეთის და აფხაზი ხალხის ბედი იმით არის განპირობებული, რომ ჩვენს თვალწინ თბილისში კომუნისტური ხელისუფლება შეიცვალა შოვინისტურად განწყობილი არაფორმალების ხელისუფლებით. მაგრამ მოსკოვი აგრძელებს თბილისთან ლაციცს. უგულვებელყოფს აფხაზთა, ოსთა, თურქ-მესხთა და სხვათა უფლებებს. ეს იმიტომ ხდება, რომ რუსეთი, რა სახითაც არ უნდა წარმოგვიდგეს მომავალში, სსრკ-ს თუ სუვერენული რსფსრ-ს სახით, არასდროს იტყვის უარს თავის პოლიტიკურ ინტერესებზე კავკასიაში, სადაც საქართველო ეგულება ერთმორწმუნე მოკავშირედ, და რეგიონში თავის გავლენას გაძლიერებს. სწორედ ამიტომ დაუტოვეს საქართველოს მის მიერ 18-21 წლებში ანექსირებული ტერიტორიები.

რა მხარესაც არ უნდა გადაიხაროს გარდაქმნის პოლიტიკა, აფხაზეთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას არ შეწყვეტს. იმის იმედი, რომ ცენტრი ოდესმე გადაჭრის ჩვენს პრობლემებს, წმინდა წყლის ილუზიაა! ცენტრს აფხაზეთი სჭირდება სწორედ საქართველოს შემადგენლობაში, რომ აფხაზეთს თბილისი აკავებდეს.

ცენტრზე იმედების დამყარება არა მხოლოდ ილუზიაა, არამედ სახიფათო ილუზია, რომელიც შეიძლება ძვირად დაუჯდეს ჩვენს ხალხს. ამ ილუზიას ჩვენი პატარა მრავალტანჯული ხალხის მიმნდობ ცნობიერებაში ნერგავს ჩვენივე საკუთარი პარტოკრატია, რომელიც თავის პრივილეგიებს ხალხის ხარჯზე იხვეჭს. ჩვენი ხალხის მტრები იყენებენ რა აფხაზების ნდობას, აფართოვებენ თავის გავლენას, თავს ასაღებენ ხალხის კეთილისმყოფელებად, მაგრამ სინამდვილეში ანადგურებენ ჩვენი ხალხის მიერ დაგროვილ ფასეულობებს. ეს გავლენა, როგორც კიბოს მეტასტაზი, აღწევს ეროვნულ მოძრაობაში. დღეს პარტიული მთავრობა მკერდში მჯიღს იცემს, რომ ხალხთანაა და ამავე დროს, მან დაიწყო სამარცხვინო მოლაპარაკება გამსახურდიასთან, საკუთარი ხალხის ზურგს უკან. ხალხის სახელით იმას შეუძლია გამოსვლა, ვინც სახალხოდაა არჩეული საჯაროობის პირობებში. ხალხმა აირჩია დელეგატები... გაგზავნა სრულუფლებიანი წარმომადგენლები კავკასიის მთიელი ხალხების ყრილობაზე.

მთიელთა რესპუბლიკა გამოცხადდა 18 წლის 11 მაისს. კავკასიის ხალხები ქმნიდნენ რა თავის ეროვნულ ერთიანობას, ემყარებოდნენ თავისუფლებისთვის ერთობლივი ბრძოლის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას და მათ პირველებმა კავკასიაში განახორციელეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უფლება. ამ მაგალითმა ფრთები შეასხა ამიერკავკასიის ხალხებს. საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა უმალ მიბაძეს მთიელთა რესპუბლიკას. ამ ოთხმა რესპუბლიკამ, მთიელთა, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის, ჩაიფიქრეს გამხდარიყვნენ მომავალი კავკასიური კონფედერაციის წევრები. მაგრამ ეს არ მოხდა. და როდესაც საჭირო შეიქნა თავის დამოუკიდებლობის დაცვა, მთიელთა რესპუბლიკა ფაქტობრივად მარტო დარჩა. მაშინ, როდესაც მთიელთა რესპუბლიკა თავგანწირულად ებრძოდა ჯერ თეთრგვარდიელებს, ხოლო შემდეგ წითელგვარდიელებს, საქართველო მოურიგდა ერთსაც და მეორესაც. თეთრგვარდიელების დახმარებით საქართველომ მთიელთა რესპუბლიკას ჩამოაჭრა აფხაზეთი, წითელგვარდიელების მეშვეობით კი დაინარჩუნა. საქართველოს და რსფსრ-ს 20 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ფაქტობრივად თავდაუსხმელობის პაქტი იყო, რომელიც შესრულდა... უნდა აღინიშნოს, ამ ხელშეკრულებაზე აფხაზეთის ხელმოწერა არ არის. ამ გარიგების შედეგად რუსეთმა მიისაკუთრა აფხაზეთის მიწა მდინარე ფსოუდან მდინარე მზიმთამდე. ეს იყო უხეში ანტიაფხაზური აქტი, როდესაც აფხაზეთის ტერიტორია გადანაწილებულ იქნა. მიგვაჩნია, რომ აფხაზეთს აქვს სუვერენული არსებობის უფლება. მეორეს მხრივ, უნდა აღინიშნოს, დემოკრატიული მოძრაობა ყველგან უფსკრულის პირასაა მისული, ვინაიდან მოკავშირე რესპუბლიკებში მცირე ხალხების ინტერესები უგულვებელყოფილია და ამის გამო შეიძლება დაზარალდეს მთლიანად დემოკრატიული მოძრაობა...

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, ჩვენ სხვა აზრი არ შეიძლება გვქონდეს. ეს არის აგრესია, ოკუპაცია და ძალადობა სამხრეთ-ოსეთის ხალხის მიმართ. ამ შემთხვევაშიც ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ მთიელთა რესპუბლიკის რეზოლუციას, რომ თუ საქართველო დაუყოვნებლივ არ შეასრულებს ოსი ხალხის მოთხოვნებს და არ მისცემს იქ პარლამენტს ნორმალური მუშაობის საშუალებას, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით ჩავერიოთ ამ საქმეში და ოს ხალხს ყოველნაირი დახმარება აღმოვუჩინოთ.

●

**რამდენიმე დღის წინ სოხუმის აფხაზურ თეატრში აირჩიეს 10 დელეგატი მთიელთა რესპუბლიკის ხეიმზე გასაგზავნად. ესენი არიან: კ. ოზგანი (გუდაუთის აღმასკომის თავმჯ.), იაზიჩბა (გაგრის აღმასკომის თავმჯ. მოადგილე), ს. შამბა (აიდგილარას თავმჯ.), ჯ. ახუბა (მწერალი), დ. ზანთარია (მწერალი), გ. გუმბა (დემოკრ. პარტ. თავმჯდ.), მარხოლია (პროფსაბჭოს მდვ.), ალანია (დ. პ. მდივანი), ფილია (ტყვარჩელის აღმასკომის თავმჯ. მოადგილე), ს. ბაგაბში (ყოფ. ოჩამჩირის რ-ნის პირველი მდივანი).**

# შემთხვევითი გაუგებრობაა თუ მზაკვრობა მზადდება?

## ანუ მიმართვა კომუნისტი დეპუტატებისადმი

საქმეში ჩახედული ქართველი არ შეიძლება არ გაეოგნებინა იმ რამდენიმე ბოლოდროინდელ ფაქტს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელ კომპარტიასთან დაკავშირებით მოხდა: „ვრემიას" პროვოკაციული ინფორმაცია; სკკპ-ს მიერ 10 მილიონი მანეთის გადარიცხვა საქართველოს „დამოუკიდებელი" კომპარტიის ანგარიშზე; ცკ-ს შენობის დაცლის გაჭიანურება იაზოვ-პუგოს ბრძანებულების ძალაში შესვლის მომენტამდე... ამ და სხვა მიზეზთა გამოც ჩნდება რამდენიმე კითხვა:

1. ვინ და რა მოსაზრებებით გადასცა „ვრემიას" საქართველოს „დამოუკიდებელი" კომპარტიის ერთ-ერთი რიგითი (ორშაბათის) თათბირის შესახებ „ყალბი და აშკარად პროვოკაციული ინფორმაცია" (ციტატა მოგვყავს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს განცხადებიდან)? როგორც ცნობილია, ცკ-ს რიგით თათბირებს პრესის მრავალრიცხოვანი მუშაკი არ ესწრება (თანაც მოსკოვიდან ან საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან აკრედიტირებულნი..)!.. მკითხველს შევახსენებთ, რომ **სწორედ მსგავსმა ინფორმაციებმა მოამზადა საფუძველი ლიტვის ხელახალი ინტერვენციისათვის.**

2. კომპარტიის ახალი ხელმძღვანელობა დიდი ხნით ჰპირდებოდა ქართველ საზოგადოებრიობას ეროვნული საქმეების კეთებას (ეს იგივეა, ცხვრების მწყემსობა მშიერმა ტურებმა იკისრონ). ამ ბოლო დროს, ჩვენი გაჭირვების ჟამს (თუნდაც სამაჩაბლოში!) ხომ უნდა გამოჩენილიყო კომპარტიის მხრიდან ჩვენი ერისთვის სასიკეთო ქმედება?.. ის ფაქტი, რომ ასე უსაზღვროდ ჭიანურდება მინისტრთა საბჭოსათვის ცკ-ს შენობის გადაცემა, შეგნებული საბოტაჟი ხომ არ არის კომპარტიის მხრიდან? ხომ საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ უზენაეს საბჭოს ძალზედ უჭირს ფუნქციონირება უბინაობის გამო?

3. მკითხველო, ხომ არ გიჩვენებათ, რომ საქართველოს „დამოუკიდებელი" კომპარტიის ლიდერის განცხადება: 700 სვანი ოჯახის ქვემოქართლიდან შიდა ქართლში გადაყვანის თაობაზე — თვითმიზნურია? ითქვა საჯაროდ, რამაც უკურეაქცია გამოიწვია, როგორც სვანეთში, ასევე შიდა ქართლში. არაფერი კი გაკეთებულა; გარდა ამისა, სტიქიაში მოყოლილი ოჯახები სადესანტო რაზმი ხომ არ არის? საერთოდ, ბ-ნი ა. მარგიანის გამოსვლები თვალში ნაცრის შეყრას ხომ არ ისახავს მიზნად, რომ დრო მოიგოს და ამასობაში მოახდინოს მე-5 კოლონის — კომპარტიის რეანიმაცია? **ამ მიზნისთვის ხომ არ მიიღო საქართველოს კომპარტიამ 10 მილიონი?**

4. დღეს მაინც თუ ჰგონია ვინმეს, რომ ჩვენი ერისთვის აუცილებელია კომპარტია? ამ ფსევდოპარტიას აღარც მიზანი აქვს, აღარც თეორიული კრედო და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ მისი წევრების მიზანია პრივილეგიების გადარჩენა! **მასში გაერთიანებული ინტელიგენცია და სხვა პატიოსანი ადამიანები ნუთუ ვეღარ დარწმუნდნენ, რომ ისინი აკეთილშობილებენ, ინტელექტუალურ ფარს, მეხამრიდს უკეთებენ კომბინატორთა და კარიერისტთა მცირერიცხოვან ორგანიზებულ ჯგუფს?**

5. სკკპ-მ საქართველოს კომპარტიას გადმოურიცხა 10 მილიონი; **პარალელი:** სკკპ (სსრკ) დიდი ხანია აფინანსებს აზიისა და აფრიკის ტერორისტებსა და კომპარტიებს... იუდამ ის 30 ვერცხლი გადაყარა... ქართველი კომუნისტები რას იზამენ?

6. თუკი ასეა გალატაკებული საქართველოს კომპარტია, რატომ არ დაშლის თავის უზარმაზარ ბიუროკრატიულ აპარატს? დღემდე ყოველ სოფელშიც კი მაღალხელფასიანი პარტკომები ჰყავთ; რაღაცას ხომ არ ელოდებიან? იქნებ არ არის შემთხვევითი, რომ კომპარტიის ფუნქციონერები დადიან რაიონებში და ხალხს აფრთხილებენ (აშინებენ): „ჩვენ მალე დავბრუნდებით", „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" დროებითი მთავრობაა". სხვა მსგავს პროვოკაციულ სვლებს აკეთებენ... ხომ არ დადგა დრო ასეთ პირთა მორალური პასუხისმგებლობის საკითხის აღძვრისა.

ჩვენ დიდ პატივს ვცემთ კოლეგებს — საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებს კომპარტიიდან. ჩვენ უფლება არა გვაქვს არ ვენდოთ მათ, მითუმეტეს ვიცით, რომ ბევრი მათგანი თავადაც გაოცებულია კომპარტიის მესვეურთა ბოლოდროინდელი ფერისცვალებით... ჩვენ სწორედ მათგან ველით, რომ ზემოჩამოთვლილი საკითხების გარშემო პასუხები მოითხოვონ თავიანთი პარტიული ლიდერებისგან; თუკი ისინი კომპარტიის საქმეთა გამო არ აგებენ პასუხს და თავს ვალდებულად არ თვლიან რაიმე სახის კონტაქტში შევიდნენ კომპარტიის ლიდერებთან, მაშინ საჯაროდ გამოაცხადონ თავიანთი პოზიციის შესახებ (გადადგან შესაბამისი ნაბიჯი)... საჭიროა, ბოლოსდაბოლოს გაირკვეს, რამდენი წევრი ჰყავს დღეს კომპარტიას და რამდენი დეპუტატი მიიჩნევს კომპარტიის დღევანდელი საქმიანობის თანამონაწილედ თავს...

**პატივცემულო კოლეგებო! დრო არ ითმენს, რაღაც ახალი მზაკვრობა მზადდება ჩვენი ერის წინააღმდეგ; თქვენს დროულ მოქმედებას შეუძლია კომპარტიისგან მომავალი შესაძლო საფრთხის აცილება!**

**უზენაესი საბჭოს წევრები: ტარიელ ფუტკარაძე, ირინე ტალიაშვილი, ბიძინა აფრასიძე, გიორგი გულბანი, ანზორ კუდბა, ნოდარ იმნაძე, ირაკლი ჩხეიძე და სხვები.**

**P. S. გაზეთ „ცხოვრების" მეორე ნომერში დაიბეჭდა ბატონ ა. მარგიანის პასუხი თამაზ ადამიას წერილზე. ამ პასუხის პროვოკაციულმა, დემაგოგიურმა აზრებმა კიდევ უფრო გაამყარა ჩვენი პოზიცია. არ ვაპირებთ ზემოხსენებულ ავტორთა კამათში ჩარევას. მკითხველი თავად კარგად გაერკვევა ყველაფერში... ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართავთ დეპუტატებს კომპარტიიდან (განსაკუთრებით ა. მარგიანის მიერ დასახელებულ პატივსაცემ ბატონებს ბაკურ გულუას, ლევან ალექსიძეს და ჯანმრთელობის მინისტრს ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს) გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება კომპარტიის დღევანდელი ლიდერების პოზიციის თაობაზე. და კიდევ, რატომ აძლევს თავს უფლებას ბატონი ა. მარგიანი ილაპარაკოს საერთოდ სვანეთის სახელით? კომუნისტთა დღევანდელ ლიდერს ხომ არ სწადია ამ კუთხის შვილები დაუპირისპიროს ეროვნულ პარლამენტს?!**

●

წარმოდგენილი მიმართვა განხილულ იქნა უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივი კომისიის სხდომაზე. სხდომის მონაწილეებმა პარტიულობის მიუხედავად, საკითხის ამგვარად დასმას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

●

**10 მილიონის ფენომენი ნდობას უკარგავს ე. წ. დამოუკიდებელი კომპარტიის მიმართ თვით ამ პარტიის წევრებს, რომლებიც თავს სკკპ-საგან დამოუკიდებელი პარტიის წევრებად თვლიდნენ. გარდა ამისა, პარლამენტის ნდობას უკარგავს კომუნისტური პარტიის სიით არჩეულ დეპუტატებს. ამიტომაც მე პროტესტს ვუცხადებ ამ „საჩუქარს". საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას, რომელმაც მიიღო ეს „საჩუქარი" და ვტოვებ საქართველოს კომუნისტურ პარტიას — გავდივარ მისი რიგებიდან.**

უზენაესი საბჭოს წევრი,

**თამარ ივანეს ასული დეკანოსიძე**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

# პრობლემა



# „მთაო, შე შეუპოვარო“



მთაო, შე შეუპოვარო,
რაშ-რა გაგხადა მტერადა?
დამპყურებ ჭმუნვით ქვეყანას,
გადაქცეული ცქერჰდა,

ის აღარა ვარ ბიძაო,
რაც გინახივარ ძველადა,
მე ქვეყანაში მოვდივარ,
როგორც ბალახი ლერადა,

ვერც პურს ვსჭამ
მოსვენებითა,
ვერც დავმჯდარვარ
მღერადა,
შენ მე მიყურებ, მე — შენა
ორნივე გავხდით მტერადა!

ვაჟა-ფშაველა

ვაჟას ეს ლექსი შემთხვევით არ წავუმძღვარებია დღევანდელი ხავაზეთო ნარკვევისათვის. მართლაც რომ, ცუდ დღეშია დღეს ხაქ-...



გოგი ოჩიაური: ერთ დროს ფშავ-ხევსურეთი მჭიდროდ დასახლებული მხარე იყო. დუღდა ცხოვრება მთაში. მოსახლეობა იმდენ სასოფლო-სამეურნეო (ძირითადად მეცხოველეობის) პროდუქტს აწარმოებდა, რომ ნამეტს თბილისში ჰყიდდა და მნიშვნელოვანი წვლილიც შეჰქონდა დედაქალაქის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფის საქმეში. თავის დროზე ფშავ-ხევსურეთი საქართველოსათვის რამდენიმე ძირითად მოვალეობას ასრულებდა: იყო ქვეყნის საზღვარ-...



...ხევსურული კონსორციუმის ჩამოყალიბება მიგვაჩნია. ამ გზით შესაძლებელი გახდება იმ საკითხების გადაწყვეტა ადგილობრივი ძალებით, რომელთაც არ სჭირდება სამთავრობო დადგენილებების მიღება. გარდა აღნიშნულისა, ეს საშუალებას მოგვცემს მკვიდრი მოსახლეობის დასაქმებისა, მათთვის შრომის სტიმულის, მატერიალური და ფულადი სახსრების წარმოქმნისა. შემუშავებული სისტემა კი ასეთია: კონსორციუმი მოსახლეობისაგან ბაზრის ფასებში შეიძენს ჭარბ პროდუქციას, ნედლეულის სახით, გადაამუშავებს მას სამრეწველო და საზკვების ობიექტებში „ამის ხარჯზე ბევრად უფრო სარფიან ფასებში გაყიდის ქალაქში და დამატებით მიღებული მოგებიდან ნაწილს კვლავ გლეხობას მისცემს ფულადი ანაზღაურების სახით. ვფიქ-...



გიორგი წიკლაური: პირველი, რასაც მივაღწიეთ და რისი ძალიან დიდი იმედიცა გვაქვს, არის სათემო საბჭოს ჩამოყალიბება. ეს მმართველობის ის ფორმაა, რაც ფშავ-ხევსურთა ცხოვრებას ოდითგან წარმართავდა. მოქმედი სტრუქტურა, უფრო სწორად, არის თემთა საბჭო, რომელიც სათემო საბჭოებს აერთია-...

შე ერთიანდება, სულ 14 თემი გამოგვივიდა. მათგან შექმნილი საბჭო იქნება უფლებამოსილი რეგიონის ნებისმიერი საზოგადოებრივი საკითხის გადაწყვეტისა.

თემთა საბჭომ დაადგინა, რომ ...

...მოყენება და სხვა. გვინდა დავნერგოთ სამთო ტურიზმი და უცხოელ სტუმრებს ისეთი სანახები შევთავაზოთ, რაც მათ სიზმრად თუ უნახავთ. აქვე შესაძლებელია მათთვისვე ნადირობის ორგანიზება, ხევსურეთში ხომ უამრავი ჯიხვია, რომელიც ...

...თან ერთად ამ მამულიშვილურ საქმეში და, ალბათ, ამ ... სას მე თვითონ გავხდები ... რი, ვინც ყველაზე ... ბა თავისი მხარის აღორძინებას.

ახლა ძნელია გითხრათ, რით დავიწყებთ ამ კონკრეტული საქმის ...

...ისევ ვაჟას ერთ-ერთი ლექსის ბოლო სტროფით გვინდა დავამთავროთ, რამეთუ განწყობილება ჩვენი მკითხველისა მის შინაარსს უნდა შეესაბამებოდეს:

„კიდევთ მოვა რა ვიცი
იესო ქრისტეს აღდგომა“.

დალი ქვირია

ავტორის თხოვნით სტატიის ჰონორარი ხევსურეთის აღორძინების ფონდში ჩაირიცხება, მკითხველს კი ვაცნობებთ ანგარიშის ნომრებს

ივერთბანკი 521921

ხევსურთა თემთა საბჭო 400001



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტანკები წავლენ, ისტორია დარჩება

## მზერა აპენინებიდან

**როგორ** შეაფასებენ დასავლეთში გარდაქმნის არქიტექტორებს მას შემდეგ, როცა გაივლის დროის გარკვეული პერიოდი. მათი მოღვაწეობის გარკვეულ დადებით ასპექტს ვერ გადასწონის ის ფაქტი, რომ დემოკრატიის დეკლარირების პირობებში რეპრესიული ფუნქცია არმიამ აითვისა და მოსახლეობის დასარბევად აშკარა ძალადობის მთელი სერიები ჩაატარა.

ედუარდ შევარდნაძის წასვლას თანამდებობიდან დასავლეთის პრესა დიდი წუხილით შეხვდა და ამასთანავე მას ბევრი დითირამბებიც უძღვნა („დასავლეთის დიდი მეგობარი იმპერიის საზღვრებიდან". — „კორიერე დელა სერა" 21 დეკემბერი, 1990 წ.).

ისტორიული შეფასება, მისი კრიტერიუმები ხშირად იცვლება ხოლმე. ბანალობაში რომ არ გადავარდეთ, მოვიყვანოთ რამდენიმე შედარებით ახალი მაგალითი. ინტელექტუალური ამერიკა ერთ დროს ზემოდან უყურებდა პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონს, მაგრამ როგორც ამჟამად აღმოჩნდა, მისი მოღვაწეობის პერიოდში ღარიბთათვის უფრო მეტი დახმარების პროგრამა და კანონი იქნა მიღებული, ვიდრე სხვა დროს, ამით ამერიკაში არნახულად განმტკიცდა სამართლიანობა. ბოლო წლებში მაღლა იწევს აქამდე დაბალი რეიტინგის მქონე ყოფილი პრეზიდენტის ეიზენჰაუერის შეფასება. ბევრი ამერიკელი ისტორიკოსი თვლის, რომ მან შეძლო 60-იან წლებში კომუნისტური ექსპანსიის შეჩერება.

კარგად არის ცნობილი გარკვეულ პერიოდში რა პანეგირიკულად აფასებდნენ სტალინის პიროვნებას იმჟამინდელი ევროპის წამყვანი ინტელექტუალები — ფეიხტვანგერი, როლანი, შოუ. აქვე შეიძლება 60-იანი წლების მცდარი ილუზიების ტყვეობაში მყოფი სეროიზული დასავლეთელი ისტორიკოსების ნაშრომების ციტირებაც, მაგრამ ფაქტები გვიჩვენებს, ისტორია მკაცრი მსაჯულია და მის საბოლოო განაჩენს ვერავინ გაექცევა.

საბჭოთა გარდაქმნის სულისჩამდგმელთა შეფასებისას, ალბათ, მთავარი იქნება იმის დადგენა, რამდენად სუბიექტური, ანდა ობიექტური პროცესი იყო ეს ფენომენი. დასავლეთის პრესის ნაწილის აზრით, გარდაქმნა გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზებით, ეკონომიკური ჩამორჩენით, რაც მოასწავებდა საბჭოთა სამხედრო ტექნოლოგიურ რეგრესს და, საბოლოო ჯამში, მასზე დაფუძნებული იმპერიის დაშლას.

მოწინავე ტექნოლოგიის მიღების წყარო მხოლოდ დასავლეთი შეიძლება ყოფილიყო, ამიტომ საჭირო გახდა ქვეყნის შიგნით გარკვეული დათმობებით და ძირითადად გარკვეული მოჩვენებითი დემოკრატიზაციის ჩატარებით დასავლეთის გულის მოგება და მასთან კარგი ურთიერთობის დამყარება. ეს იყო ერთადერთი გზა დახმარების მიღებისა, რაშიც ისინი ძირითადად იმპერიის გადარჩენის რაციონალურ გამოსავალს ხედავდნენ.

ასეთი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების მისია დაევალა არარუსი ეროვნების პოლიტიკოსს. ამით ცენტრს სურდა ეჩვენებინა ძველი, ველიკოდერჟავული მსოფლმხედველობის უკუგდება და პატარა ერებისადმი კეთილგანწყობა.

გვინდა მოვიყვანოთ იტალიური უპრეველესი გაზეთის „კორიერე დელა სერას" ერთი საინტერესო მოსაზრება, რომელიც შესაძლოა ზოგიერთმა, ვინც ადვილად ექცევა მიამიტური ეიფორიის გავლენის ქვეშ, არც გაიზიაროს. გაზეთის აზრით, საბჭოთა კავშირის თანხმობა გერმანიის ფორსირებული გაერთიანების თაობაზე აშკარად ნაკარნახევი იყო საბჭოთა იმპერიის შიდა საზღვრებისა და მთლიანობის შენარჩუნების მოტივით. ჰუმანურობის ნიღბით საბჭოთა კავშირი თმობდა იმას, რასაც მაინც ვერ შეინარჩუნებდა. ამ აქტით კი დასავლეთისაგან იღებდა უამრავ კრედიტს (რაც იყო აუცილებელი იმპერიის შენარჩუნებისათვის) და ამასთანავე იღებდა მხარდაჭერას ბალტიის ქვეყნების მიმართ რეპრესიული პოლიტიკის გატარებისთვის. გაზეთის მტკიცებით, დასავლეთგერმანიამ ყველაფერი გააკეთა დასავლეთის ქვეყნებზე ზეგავლენის თვალსაზრისით, რათა მათ არ გამოეჩინათ თანადგომა ბალტიის ქვეყნებისადმი. მან ამერიკაც კი მიიმხრო, თუმცა ამის გაკეთება გაუჭირდა. თუ გავიზიარებთ იტალიური გაზეთის აზრს, აღმოჩნდება, რომ საბჭოთა საგარეო მინისტრი თავისი გერმანული პოლიტიკით იმპერიის დაშლის წინააღმდეგ იღვწოდა, ფაქტობრივად ამაგრებდა იმ რეაქციულ ძალებს, რომლებიც იმავდროულად გმობდნენ მას აღმოსავლეთ ევროპის დათმობისა და გერმანიის დაჩქარებული გაერთიანების გამო.

კომუნისტური გაზეთი „უნიტა" ხატოვნად აღწერდა, თუ როგორ იქცა საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი კაბინეტი ნამდვილ ლინჩის სასამართლო ადგილად, რომელიც შევარდნაძეს გაუმართეს მისი გერმანიის პოლიტიკის გამო, აღნიშნულია, რომ გორბაჩოვმა არაფერი მოიმოქმედა თავისი კოლეგის დასაცავად (თანამოაზრეთა ასეთი გაწირვა გაზეთის მიერ პრეზიდენტისათვის დამახასიათებელ ქმედებად არის მიჩნეული).

ავბედითია ისეთ მოღვაწეთა ხვედრი, რომლებიც არ ეგუებიან ხოლმე თავისი ქვეყნის მასშტაბებს და ცდილობენ პოლიტიკური ასპარეზი გაიფართოვონ. ასეთ პოლიტიკოსთა ტრაგიკულ გალერეაში ლავრენტი ბერიაც შედის.

გერმანული მასალების მონაცემებით („შპიგელი") ბერია ერთიანი გერმანიის გაყოფის თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო და მიაჩნდა, რომ ქვეყანა უნდა დემოკრატიული და დემილიტარიზებული გამხდარიყო. რასაკვირველია, დიდი ჩეკისტი ამას ამბობდა არა იმიტომ, რომ მიუღებლად მიაჩნდა გოეთესა და შილერის ქვეყნის დანაწილება. როგორც რეალისტი პოლიტიკოსი, გერმანიის დანაწევრებას იგი უპერსპექტივოდ თვლიდა, მაგრამ ამ პოზიციაში აგრეთვე ჩანდა მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი: საბჭოთა უშიშროების სამსახურისა და არმიის ჭიდილი გავლენის მოპოვებისათვის, რაც ხშირ შემთხვევაში განაპირობებდა საბჭოთა კავშირის ბოლო ათწლეულების ისტორიას. ყოვლისშემძლე ავანტიურისტი თვლიდა, რომ გერმანიის ნაწილის შენარჩუნების მცდელობისათვის საჭირო გახდებოდა გაძლიერებული ჯარი, მისი მკვებავი სამხედრო ინდუსტრია, ამის შედეგად მოხდებოდა ქვეყნის სრული მილიტარიზაციის განმტკიცება. ეს უშიშროების სამსახურთან შედარებით არმიას მისცემდა უპირატესობას. აქვე საინტერესო იქნება პატარა ექსკურსის გაკეთება საბჭოთა კავშირის 50-იანი წლების ისტორიაში. საქმე ისაა, რომ უშიშროების კომიტეტი შედიოდა მინისტრთა საბჭოს სისტემაში. უშიშროების კომიტეტის ისედაც გაზრდილი როლის გაფართოებით და ამით საკუთარი გავლენის გაზრდის მიზნით ბერია მოითხოვდა მინისტრთა საბჭოს ფუნქციების გადიდებას პარტიის ხარჯზე, კერძოდ, მოითხოვდა პარტიის ეკონომიკის საკითხებში იდეოლოგიური ჩარევის აკრძალვას (ამაში 80-იანი წლების გარდაქმნის კონტურები მოსჩანს). არმია კი მხარს პარტიას უჭერდა, რადგან მისი „მესიანისტური" იდეოლოგია ამართლებდა ქვეყნის უკიდურეს მილიტარიზაციას და აღმოსავლეთ ევროპაში სოციალისტური ბანაკის შენარჩუნებას, ე. ი. ამართლებდა საბჭოთა სამხედროების იქ ყოფნის საჭიროებას.

დასავლეთის სპეციალისტების აზრით, ბერიას კრახი იყო თავისებური სამხედრო გადატრიალება, რომელიც გამიზნული იყო გაეძლიერებინა არმიის როლი და დაემხო უშიშროების კომიტეტის ძლევამოსილება. სწორედ ამიტომაც მოხდა მაშინ გულაგის სისტემის ნაწილობრივი დემონტაჟი, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ რეპრესიებზე უარი თქვეს. მოსახლეობის დაშინებისათვის გამიზნული რეპრესიული საქმიანობა უშუალოდ არმიამ აიღო ხელში (პირველად ეს მოხდა 1956 წელს თბილისსა და ბუდაპეშტში, შემდეგ ნოვოჩერკასკში და სხვ.).

ალბათ, ისიც არაა შემთხვევითი, საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ (დასავლეთში მას აცხადებენ ანდროპოვის უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლად) დაიწყო სამხედრო კომპლექსის ნაწილობრივი დემონტაჟი და გაიზარდა უშიშროების სამსახურის გავლენა.

ვერც იმას ვიტყვით, რომ ინგლისს, საფრანგეთს, ძალიან გაუხარდათ გერმანიის გაერთიანება. არსებობს საფუძვლიანი ეჭვები, რომ ამით მეტად გაძლიერებული გერმანია მომავალ ევროპაში დაიკავებს გაბატონებულ ადგილს და მათ მხოლოდ სტატისტის როლის შესრულების უფლებას მისცემს.

დასავლეთის ბევრი ქვეყნის შიშს კიდევ სხვა მიზეზი აქვს. საბჭოთა პროპაგანდისტები მას მოხერხებული მანერით უნერგავდნენ იმ აზრს, რომ თუკი საბჭოთა კავშირი დაიშლება და საზღვრები გაიხსნება, მილიონობით მშიერი ადამიანი მიაწყდება ევროპას. ამასთანავე, რესპუბლიკებში ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებით და დასავლეთისათვის ამ ფაქტების დამახინჯებული სახით მიწოდებით, პროპაგანდა ახდენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების დისკრედიტაციას.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა საგარეო პოლიტიკის ფერხულში იყო ჩაბმული, ხოლო საგარეო პოლიტიკა ემსახურებოდა იმპერიული სისტემის შენარჩუნებას. დასავლეთის მიერ დეკემბერში დაწყებული საბჭოთა კავშირისადმი სასურსათო და საფინანსო მასირებული დახმარების დაწყება, გამიზნული იყო გორბაჩოვის პოზიციის გამაგრებისათვის.

მომავალში ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს დასავლეთი გორბაჩოვის მიმართ. როგორც ჩანს, მისდამი ნდობა დასავლეთს ჯერ არ დაუკარგავს, ამიტომ მაინც არაა შემთხვევითი, რომ ამას წინათ „მესაჯერომ" დიდი ადგილი დაუთმო წარსულში ამერიკის რამდენიმე პრეზიდენტის საბჭოთა საკითხებში მთავარ მრჩეველს, ამერიკის ყველაზე პრესტიჟული ინტელექტუალური ცენტრის ბრუკინგსის ინსტიტუტის მთავარ სოვეტოლოგ ჰელმუტ ზონენფელდტთან ინტერვიუს, (28 დეკემბერი, 1990 წ.). მისი აღიარებით, გორბაჩოვს არა აქვს სტრატეგიული შორსმჭვრეტელობის უნარი და მასში ძლიერად არის გამოვლენილი მერყეობა და გამბედაობის დეფიციტი. ასეთი დახასიათების შემდეგ თითქოს რაიმეზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ აი რას ამბობს ზონენფელდტი: „არსებობს იმედი იმისა, რომ გორბაჩოვი ამჟამად ახდენს მხოლოდ თავისი პოლიტიკიდან დროებით გადახვევას. საჯაროობა, სიტყვის თავისუფლება ხელშეუხებელი რჩება. ძნელი საფიქრებელია მოხდეს დაბრუნება პოლიტიკური სიმკაცრისაკენ და ცენტრალიზმისაკენ, ამის საფასური მეტად მძიმე იქნება და დასავლეთის მხარდაჭერის დაკარგვას გამოიწვევს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ გორბაჩოვი დაუბრუნდება რეფორმების გზას და ამით დასავლეთის დახმარებას უზრუნველყოფს".

რა არის ეს — ექსპერტის შორსმჭვრეტელობა, თუ განზრახ მიამიტობა?! საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გორბაჩოვისადმი დასავლეთის ოფიციალური წრეების წარმომადგენლებისა და პრესის მიდგომაში შეიმჩნევა გარკვეული განსხვავება.

მნიშვნელოვან მოვლენად „კორიერე დელა სერა" მიიჩნევს სამ ფაქტს: საბჭოთა ყოფილი სუპერსახელმწიფოს აგონია, სპარსეთის ყურის კონფლიქტი, გერმანიის გაერთიანება. გაზეთის აღნიშვნით, ასეთ ვითარებაში, როცა მხოლოდ ამერიკა რჩება ძლიერ სუპერსახელმწიფოდ განუზომლად გაიზრდება გაეროს როლი. გაზეთი წერს: „თუკი ქუვეითის ამბები დასავლეთის გამარჯვებით დამთავრდება, მაშინ შეიქმნება ახალი მსოფლიო წესრიგი, რომლის სისტემაში გაერო მსოფლიოს ცენტრად მოგვევლინება" (ლივიო კაპუტო, 29 დეკემბერი, 1990).

იმედია, რომ ასეთ ვითარებაში პატარა ქვეყნების უფლებები უფრო დაცული იქნება.

გვინდა შემოგთავაზოთ „კორიერე დელა სერას" საინტერესო ანალიზი იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს წელს საბჭოთა კავშირში. ანდრეა ბონანი აღნიშნავს (29 დეკემბერი, 1990 წ.): მემარცხენეთა და მემარჯვენეთა ბრძოლა შევა გადამწყვეტ ფაზაში. მემარცხენეების პოზიცია ასეთია: იმპერიის დაშლის პროცესი შეუქცევადია. ხალხი აღარ იგუებს დიქტატურას, ხოლო დასავლეთი არ მოითმენს ახალ ათას ტიანანმინს (პეკინის მოედანი, სადაც სტუდენტთა დარბევა მოხდა). ამასთანავე დემოკრატები არ დგანან ჩრდილში, როგორც ამას შევარდნაძე ამბობს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ კრემლი საბოლოო ჯამში სცნობს რესპუბლიკების სუვერენიტეტს.

მემარჯვენეები აკეთებენ აქცენტს ეკონომიკურ საბოტაჟზე, რეფორმების დამუხრუჭებით ცდილობენ ჩამოაყალიბონ სიტუაცია: რაც უარესია, უფრო უკეთესია და ცდილობენ შექმნან სამხედრო გადატრიალების პირობები.

გაზეთი შესაძლებელ მოვლენათა ასეთ სცენარს გვთავაზობს: წელს გათამაშდება თავისებური პოკერი. ვინ მოიგებს უმაღლესი რისკის ფასად? პასუხს მივიღებთ გარკვეული პერიოდის შემდეგ და ის დამოკიდებული იქნება საბჭოთა კავშირის ხალხების, დასავლეთის რეაქციაზე. ამასთანავე, გაზეთი აღნიშნავს: „გარდაქმნის ექვსმა წელმა რუსები ვერ გამოიყვანა ობლომოვისებური მთვლემარე ინდიფერენტიზმიდან. რაც შეეხება დასავლეთს, ის ამიერიდან ველარ შეძლებს დაუინტერესებელი მოწმის როლის იმიტაციას". გვინდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი კომენტარი: „გორბაჩოვი და ელცინი ერთმანეთისაგან ბევრით განსხვავდებიან, მაგრამ აქვთ ერთი საერთო: თავისი პიროვნების დანიშნულებას ისინი აღიქვამენ მესიანისტურად, რაც მათ პოლიტიკურ შეუთავსებლობას უფრო აღვივებს. ელცინი რამდენჯერმე აღზევებული ფენიქსია, მაგრამ მაინც ვერ შეძლო დასავლეთის გულის მოგება, რომელიც ისევ გორბაჩოვს გულშემატკივრობს. სავსებით შესაძლებელია ეს დასავლეთისათვის მეტად სავალალო შეცდომად იქცეს და დაემატოს გაუგებრობათა იმ მთელ სერიას, რომელიც მან პერესტროიკის შეფასებისას გამოამჟღავნა".

ამ კონტექსტში, ალბათ, არაა შემთხვევით რომ „კორიერე დელა სერა"-ს წამყვანი ჟურნალისტი მარიო პანდოლფო სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში, აიღო უამრავი ინტერვიუ და შეაგროვა ბევრი მასალა, რის შემდეგაც თავის გაზეთში გამოაქვეყნა ვრცელი მოცულობის მასალების მთელი სერია, რომლებსაც ვთავაზობთ ჩვენ მკითხველს, დაე, თავად მკითხველმა განსაჯოს, თუ რამდენად ობიექტური ან სუბიექტურია ეს სტატიები, მაგრამ მარტო ის ფაქტი, რომ ჟურნალისტმა ამდენი ადგილი დაუთმო ბატონ ზვიად გამსახურდიას და აკაკი ასათიანის გამონათქვამებს და მოსაზრებებს, უკვე თავისთავად, მრავლისმეტყველია.

გაზეთი წერს (28 დეკემბერი, 1990 წ.):

„ერთადერთი ადგილი, რომელზეც ჯერ კიდევ ურიგდებიან ლენინის გამოსახულებას, ესაა საბჭოური ქაღალდის ბანკნოტი.

საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანია მოსკოვისაგან გამოყოფის მსურველ რესპუბლიკებს შორის, სადაც ერთიანად აიღეს ლენინის სურათები და ქანდაკებები, ასევე უკვალოდ გაქრა წითელი ბაირაღები. თვით გორბაჩოვის პორტრეტსაც ვერსად წააწყდებით. რაც შეეხება ნამგალსა და უროს, ისინი მხოლოდღა სამხედრო კეპებს თუ შერჩა.

ეროვნული განახლების სიომ ძალუმად დაჰბერა ყველგან — დედაქალაქსა და ყველაზე მივარდნილ სოფელშიც.

დიდი ფუსფუსია პარტიულ შენობებში. გრძელ-გრძელი რიგები იჭიმება საგაზეთო კიოსკების გასწვრივ, სადაც პირდაპირ ხელიდან სტაცებენ ერთმანეთს ისეთი დასათაურების გაზეთებს, როგორიცაა „თავისუფალი საქართველო", „ახალი საქართველო", „დემოკრატიული საქართველო" და ა. შ.

პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში პროგრესული დემოკრატიული ძალების გამარჯვებას თან ახლდა მოსახლეობის ერთგვარად ამაღლებული, ეიფორიული განწყობილება. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ამ პატარა ქვეყანაში ყველა სასწაული შეიძლება მოხდეს.

როგორც ცნობილია, იმ ავადმოსაგონარ დღეს — 9 აპრილს, მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე წითელი არმიის დამსჯელმა რაზმებმა სისხლიანი სასაკლაო მოუწყვეს ქართველებს, რის შემდეგაც ახალი ძალით იფეთქა თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილმა.

ამჟამად, სამთავრობო აპარატამენტებში უფრო რეალისტურად მოაზროვნე ადამიანები სხედან, თანაც არანაკლებ გამბედავნი...

— მოსკოვი ჩვენ ხელ-ნელა გვაშფოთებს. ისევე როგორც მან, ეს ლიტვაში მოიმოქმედა. შეგვიზღუდა დაფინანსება და მომარაგება, შეგვიმცირდა გაზის და ელექტროენერგიის მოწოდება, გვაკლია კვების პროდუქტები და მედიკამენტები — ამბობს შექსპირისა, ელიოტის, ბოდლერის უბადლო მთარგმნელი, საბჭოთა სატუსაღოებგამოვლილი, ჰელსინკის ჯგუფის დამაარსებელი საქართველოში, თვალსაჩინო დისიდენტი, ამჟამად ეროვნული პარლამენტის მეთაური ზვიად გამსახურდია.

... მსგავსი პოლიტიკური პლატფორმის მქონე რამდენიმე წამყვანი ეროვნული პარტიის დაახლოების შედეგად შეიქმნა ალიანსი, რომელსაც ლეგენდარული ლანსელოტის დარად „მრგვალი მაგიდა" ეწოდა. სწორედ ამ პოლიტიკურმა გაერთიანებამ თავისი ნაცადი ლიდერის, უზენაესი საბჭოს აწინდელი მეთაურის ხელმძღვანელობით შესძლო ცხვრის ქურქში გახვეული მგლის — ადგილობრივი კომუნისტური პარტიის დამარცხება არჩევნებში და მომავალ საკანონმდებლო ორგანოში ადგილების 70%-ის მოპოვება.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მისაღებში ნახევარი საათია უდრტვინველად იცდის საბჭოთა არმიის სამი გენერალი, აგრეთვე ამიერკავკასიის რეგიონის სუკ-ის უფროსი, მაგრამ ბატონი თავმჯდომარე არ ჩქარობს.

ერთ-ერთ ბოლო სესიაზე რესპუბლიკის პარლამენტმა გააუქმა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ეს გადაწყვეტილება სილის გაწნის ტოლფასი იყო კრემლისათვის. შეკითხვა პრეზიდენტს: — მაინც რამდენი ხანი დასჭირდება საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად? პასუხი: ეს დამოკიდებულია პოზიციაზე, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები დაიკავებენ სსრკ-ს მიმართ. თუ ისინი საბჭოეთის ჩაგრული ხალხების მხარეზე დადგებიან, მაშინ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. სამწუხაროდ, დღესდღეობით დასავლეთი ღალატობს თავისუფლებისა და დემოკრატიის საკუთარსავე პრინციპებს და მხოლოდ იმაზე ზრუნავს, როგორ დაეხმაროს მატერიალურად და მორალურადაც მსოფლიოს უკანასკნელ იმპერიას. ამით იგი ძირს უმაგრებს „ხალხთა სატუსაღოს"..."

ჟურნალისტის წინადადებაზე გაემგზავროს ევროპაში და გააცნოს დასავლეთს თავისი ხალხის გულის ნადები ზვიად გამსახურდია პასუხობს: — სიამოვნებით მოვიმოქმედებდი ამას, რომ არა რესპუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკაში დღეს არსებული პოლიტიკური სიტუაცია, ძალზე მწვავედ დგას სამხრეთ ოსეთის საკითხი. ამგვარად, ჯერხანობაზე შეუძლებლად მესახება ქვეყნის დატოვება, ისე კი, პირველივე შესაძლებლობისთანავე წავალ ევროპაში და ჩემი პირველი ვიზიტი, ალბათ, საფრანგეთში შედგება, საიდანაც უკვე მივიღე ოფიციალური მოწვევა. დიდი სიამოვნებით ვინახულებდი აგრეთვე იტალიას. თქვენი ქვეყნისადმი ქართველი ხალხი მეგობრული სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

**— გამორიცხავთ თუ არა რაიმე სახით კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობას?**

— სიტყვით ეს პარტია ჩვენს მხარეზეა, ვნახოთ რას გვიჩვენებენ საქმენი! კომპარტიამ კარგად უწყის, რომ იგი მთლიანადაა დისკრედიტირებული ქართველი ხალხის თვალში. ჩვენი ერი არასდროს შეჰგუებია კომუნისტური რეჟიმის მიერ თავსმოხვეულ მონობას.

**— 16 წლის ასაკიდან განიცდიდით თქვენ ხელისუფლებისაგან რბევასა და შევიწროებას. უკანასკნელად 9 აპრილს დაგაპატიმრეს, მაშინ ფიზიკურადაც გაგისწორდნენ. რას იტყოდით ამის თაობაზე?**

— მე კვლავაც „ტყვე" გახლავართ, ოღონდ ეს უკვე სულ სხვა, საპატიო „ტყვეობაა" — ჩემი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში დგომა საამაყო საქმეა.

შემდეგი სტატია დაიბეჭდა 30 დეკემბერს. აქ აღწერილია უკვე შობადღის თბილისის სურათები. კორესპონდენტი განსაკუთრებული თანაგრძნობით საუბრობს მაღაზიების სიღარიბეზე, მიუთითებს მაღაზიის ვიტრინებში გამოფენილ პლასტმასის თოვლის ბაბუებზე. ამით ჟურნალისტი ქმნის ემოციურ სიტუაციას შემდეგი ფაქტის კონსტანტაციისათვის: რესპუბლიკის თბილი ჰავა გაჟღენთილია სულიერი დაძაბულობით, გაურკვევლობით, ხომალდის შიშით მოსკოვისა და წითელი არმიის მოსალოდნელი ჩარევის გამო. ამასთანავე ხაზგასმულია, რომ კავკასიის ამ რესპუბლიკას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვება. შემდეგ მოდის ინტერვიუ ბატონ აკაკი ასათიანთან. „ბალტიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენ არ ვაპირებთ გამოსვლას საბჭოთა კავშირიდან, ვინაიდან ჩვენ ამ კავშირში არც შევსულვართ". აი, როგორ წარმოგვიდგენს ჟურნალისტი ტრადიციონალისტთა ლიდერს...

„მას სურს მონარქიის რესტავრაცია და ბაგრატიონთა ათასწლოვანი დინასტიის აღდგენა. იმ დინასტიისა, რომელიც რუსთა მეფემ ტახტს ჩამოაშორა 1801 წელს. მათ პრეტენდენტიც ჰყავთ: 46 წლის (დედით იტალიელი — გრაფის ტიტულის მქონე — პასკინი), გიორგი, ესპანეთში ფირმა „ფიატის" დირექტორი. იგი ხელსაყრელ პირობებში შეიძლება გახდეს კონსტიტუციური მონარქი — გიორგი XIV". ამ მონარქისტული პასაჟიდან ჟურნალისტს გადავყავართ იმ მწარე სინამდვილეში, რომელიც რამდენიმე თვის წინ ჯერ კიდევ წამლავდა ჩვენს ყოფა-ცხოვრებას. ჟურნალისტი შეხვდა ახლად არჩეულ კომპარტიის პირველ მდივანს — ავთანდილ მარგიანს, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჯერ კიდევ მათ განმგებლობაში მყოფ შენობაში. იტალიელი ჟურნალისტის გამოჩენამ, როგორც ჩანს მას გარკვეული ნოსტალგია აღუძრა იმ წარსულისადმი, როცა კომპარტია დიდ ძალას წარმოადგენდა. მარგიანის თქმით, კომუნისტური პარტია დღესდღეობით ჯერ კიდევ ყველაზე ძლიერ პარტიას წარმოადგენს. იგი ერთადერთი პარტიაა, რომელმაც არჩევნებში 23%-ზე მეტი მიიღო. მან დააზუსტა, რომ მრავალი მაგიდა რამდენიმე პარტიის კოალიციას წარმოადგენს. შემდეგ მან დასძინა: „ჩვენ თავს ვგრძნობთ ჩემპიონებად, რომელთაც ღირსეული მოწინააღმდეგე არ ჰყავთ". (?!!!) სამწუხაროა, რომ კომპარტიის ხელმძღვანელობა ხალხის წარმოდგენაში მხოლოდ ნეგატიურ და სამარცხვინო და არა პოზიტიურ ასოციაციებს იწვევს, თუმცა კომპარტიას დადებითი მომენტებიც ჰქონდა".

შემდეგ ბატონმა მარგიანმა გადაწყვიტა თავისი განსწავლულობის დემონსტრირება და მოიყვანა ბისმარკის სიტყვები: „ჭკვიანები სწავლობენ სხვის შეცდომებზე, სულელები კი მათ იმეორებენ. ჩვენ არა ვართ სულელები, ჩვენ ამჟამად ვიცით ჩვენი შეცდომები და მზადა ვართ წარვუდგეთ ხალხს სხვა სახით და სხვა პროგრამით, წარსულის შეცდომები გამორიცხულია. ამჟამად ჩვენ უარი განვაცხადეთ მარქსიზმ-ლენინიზმზე, ვფიქრობთ, ევროპული ყაიდის სოციალიზმზე, ავსტრიისა და შვეციის მაგალითზე".

შეცდომა იყო თუ დანაშაული, როცა ბოლშევიკებმა მენშევიკების განდევნისათვის მე-11 არმია მოიწვიეს; განკულაკებით, კოლექტივიზაციით მოსპეს საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული შრომითი ეთიკა (შვედური მოდელის მთავარი კომპონენტი) და ახლა გვთავაზობენ ახალ ქიმერებს. არც იმაზე ფიქრობენ, თუ რამდენად შეესაბამება ჩრდილოეთ ევროპის მოდელი ქართველის სამხრეთულ ფსიქოლოგიას. არც ის იციან, რომ თვით შვეციაში, რომელიც გარკვეულ ჩამორჩენას ავლენს ამერიკასთან, იაპონიასა და გერმანიასთან შედარებით შეშფოთებით წერენ, რომ საჭიროა რაიმე ახალი მექანიზმის გამოძებნა.

წინა ნომერში მოთავსებული ინგლისური „ტაიმსის" მასალები, იტალიური გაზეთებიდან მოყვანილი მაგალითები იძლევა გარკვეული განზოგადების საშუალებას. დასავლეთში ამჟამად ბევრს წერენ გორბაჩოვისადმი აღფრთოვანებულ დამოკიდებულებაზე უარის თქმის აუცილებლობაზე. ამას იმით ასაბუთებენ, რომ მან მართალია დიდი საქმე გააკეთა კომპარტიის დასუსტებით (ზოგან კი მისი ძალაუფლებისაგან გამოდევნაზე თვალის დახუჭვით) და რესპუბლიკებისათვის შედარებით მეტი თავისუფლების მიცემით, მაგრამ ამჟამად რეფორმებისა და რესპუბლიკების სუვერენიზაციის პროცესს ამუხრუჭებს.

მიმომხილველების აზრით, თუკი საბჭოთა კავშირში არ გაგრძელდება დემოკრატიზაციის პროცესი და ვერ მოხერხდება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მაშინ დაიწყება ნამდვილი შიმშილი, რაც გამოიწვევს რეაქციონერთა თარეშს და სრულ ქაოსს. მათ კარგად იციან, რომ ასეთი დესტაბილიზაცია მათზეც გავრცელდება. ისინი დარწმუნებული არიან, რომ საჭირო რეფორმების ჩატარება ძალუძთ მხოლოდ სუვერენულ რესპუბლიკებს და დემოკრატიული წესით არჩეულ საბჭოებს. ამიტომაც ბევრი იწერება კონტაქტების დამყარების და ზოგჯერ რესპუბლიკების სუვერენიტეტის ცნობის აუცილებლობაზეც კი. ამასთანავე დასავლეთში მიზანშეწონილად მიიჩნევენ ცენტრის გვერდის ავლით რესპუბლიკებს პირდაპირი დახმარება აღმოუჩინონ.

მათი ვარაუდით, ამით შესაძლებელი გახდება აიძულონ ცენტრი რესპუბლიკების მიმართ კომპრომისზე წავიდეს და რეფორმებზეც დათანხმდეს.

ამჟამად ძნელია იმის თქმა, ბალტიის ქვეყნებში მომხდარი ამბების შემდეგ რა გზას დაადგება დასავლეთი საბჭოთა კავშირის მიმართ. აშკარაა, რომ დასავლეთს სჭირდება კრემლთან კარგი ურთიერთობა ერაყის კონფლიქტის გამო.

ამასთანავე ისიც ცხადია, რომ კრემლმა, რომელმაც მიუსადაგა ბალტიის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული აქცია ერაყის კონფლიქტის დაწყებას, გარკვეულად გაუფასურებულად შეაფასა თავისი მნიშვნელობა დასავლეთისათვის ამ თვალსაზრისით.

საერთოდ უნდა ვიმედოვნოთ, რომ ქუვეითის ასე ფართო მასშტაბის დაცვის აქცია შექმნის ისეთ მსოფლიო ვითარებას, რომლის პირობებში პატარა ქვეყნების ინტერესებს უფრო მეტი ანგარიში გაეწევა.

ასეთია დასავლეთის პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა მოსაზრებანი, თუმცა შესაძლოა ისინი არ ითვალისწინებენ, რომ რუსეთი ისაა ქვეყანა, რომლის წარსული და მომავალი არ ექვემდებარება რაციონალურ პროგნოზირებას და ლოგიკურ განმარტებას. ამასთანავე საქმე ისეთ მნიშვნელოვან ინტერესებს ეხება, არავის აქვს პესიმიზმში გადავარდნის უფლება.

**ნოდარ ზაზაშვილი**

# საქართველომ ოსლოს კონფერენციაზე ფუროში მოახდინა

**საქართველოს** უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი ბატონი **ირაკლი მელაშვილი** მონაწილეობდა ნორვეგიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. ჩვენი კორესპონდენტი ირაკლი ლომოური შეხვდა მას და სთხოვა მოეთხრო კონფერენციის შესახებ.

●

— ოსლოში 29 იანვრიდან 3 თებერვლამდე მიმდინარეობდა ნორვეგიის ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტის მიერ მოწვეული საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში ეროვნული უმცირესობების საკითხებს და იქ შექმნილ ეთნოკონფლიქტებს.

ნორვეგიის ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ესბერგ ეიდე. კონფერენცია ბატონ ეიდეს ინიციატივით მოეწყო. კონფერენციის მიზანს შეადგენდა აღმოსავლეთ ევროპაში და სსრკ-ში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ამ პროცესების შესწავლა-შეფასება, არსებული ეთნოკონფლიქტების მოსაგვარებლად რეკომენდაციების გამომუშავება. ბატონ ეიდეს დავალებული აქვს გაერო-ს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიაში აღნიშნულ საკითხზე ოფიციალური მოხსენების გაკეთება, ამდენად, ჩატარებული კონფერენცია დასახული სამუშაოს საწყისი ეტაპია, მუშაობა გაგრძელდება კომისიებში, ხოლო წლის ბოლოს ოსლოში გაიმართება მეორე ანალოგიური კონფერენცია და მისი დასკვნების საფუძველზე მომზადდება ოფიციალური მოხსენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის.

აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობის მქონეა ეს კონფერენცია.

კონფერენცია ძალზე წარმომადგენლობითი იყო, მასში მონაწილეობდნენ გაერო-ს ადამიანის უფლებების დაცვის სპეციალური ქვეკომისიის წევრები, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, დანიის, ჰოლანდიის, აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის, აზიისა და აფრიკის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები და ექსპერტები.

კონფერენციაზე მიწვეულებივიყავით ცალკე სსრკ-ს და ცალკე ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლები.

ეს ფაქტობრივად პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველომ ოფიციალურად მიიღო მონაწილეობა ამ რანგის საერთაშორისო კონფერენციაში. მოსკოვი, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბატონ ეიდეს დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ იძულებული გახდა რესპუბლიკებისათვის მიეცა საშუალება კონფერენციაზე ჩასულიყვნენ.

კონფერენციის მუშაობის პირველი 4 დღე დაეთმო მოხსენებებსა და დისკუსიებს ადამიანის უფლებების დაცვის ზოგად, თეორიულ საკითხებზე, მე-5 დღეს მუშაობა გაგრძელდა კომისიებში. განიხილეს ბალტიისპირეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთში მცხოვრები თურქების, რუმინეთში მცხოვრები უნგრელების, საქართველოს ეროვნული უმცირესობების საკითხები და სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი.

შემდეგ მოეწყო პლენარული სხდომა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობამ დაგვანახა, რომ საზღვარგარეთ საკმაოდ კარგად ესმით რესპუბლიკების ზოგადი პრობლემები, ასე მაგალითად, პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ეთნოკონფლიქტების გაღვივებაში გადამწყვეტ როლს ცენტრი თამაშობს, ამუშავებდნენ რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა მოახერხონ რესპუბლიკებმა თვითგამორკვევა ისე, რომ ცენტრს არ მიეცეს სამხედრო ძალის გამოყენების საშუალება. მაგრამ ამავე დროს, კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციის აშკარა ნაკლებობას განიცდიან.

საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობაზე მათ წარმოდგენაც არა ჰქონდათ, არ იცოდნენ, რომ ჩვენთან სწავლა-განათლება 6 ენაზე მიმდინარეობს და ა. შ.

**როდესაც უფლებები, რომლებითაც საქართველოში ეროვნული უმცირესობები სარგებლობენ, გაერო-ს მიერ შემუშავებულ კულტურული ავტონომიის სტანდარტს შევადარეთ, აღმოჩნდა, ჩვენ არათუ ვასრულებთ გაერო-ს რეკომენდაციას, არამედ გაცილებით წინ ვართ წასულები. ამ ფაქტმა, სხვათა შორის, კონფერენციაზე თითქმის ფურორი მოახდინა.**

საერთოდ, მოველოდით, რომ საქართველოსადმი კარგი განწყობა არ იქნებოდა, ვინაიდან ჩვენს წინააღმდეგ მოსკოვი ეწევა დეზინფორმაციისა და ცილისწამების კამპანიას, ამან კი არ შეიძლება თავისი გავლენა არ მოახდინოს, მაგრამ მდგომარეობა სხვაგვარი აღმოჩნდა. სპეციალისტები რეალისტურად უყურებენ საქმის ვითარებას და შესაბამისად სწორი დასკვნებიც გამოაქვთ. ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დემოგრაფიული ექსპანსია, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, განსაკუთრებით კი, ეროვნული უმცირესობის პრივილეგირება გარკვეულ ტერიტორიაზე, ლაპარაკის დაწყებას არ ვაპირებდით იმის შიშით, რომ ვერ გაგვიგებდნენ, მაგრამ ამ პრობლემებზე თვითონ მათ გამართეს სჯაბაასი ჩვენთვის სავსებით მისაღები პოზიციებიდან.

კონფერენციაზე განვაცხადეთ, რომ ჩვენ თანახმა ვართ საქართველოში გაერო-ს კომისია მივიღოთ, ფაქტობრივად, მოვითხოვეთ ამ კომისიის ჩამოსვლა. უნდა აღინიშნოს, კონფერენციის მონაწილეებზე ამ ფაქტმაც ძალზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა.

დავაყენეთ საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს ოფიციალური მონაწილეობის საკითხი. ამჟამად სიტუაცია აბსურდულია იმის გამო, რომ საქართველო არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ყველა კონფერენციაზე ჩვენს მაგივრად სსრკ აწერს ხელს, მაგრამ რაიმე პრობლემის წარმოქმნისას პასუხს ჩვენ გვთხოვენ, ჩვენ და არა ხელისმომწერს. კონფერენციის მონაწილეებმა, თავის მხრივ, აღნიშნეს, რომ ბალანსის დასაცავად, ზუსტი ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია ორივე პოზიცია გაიგონ, ორივე მხარეს მოუსმინონ და არა მხოლოდ ცენტრს, რომელიც თვითონაა ეთნოკონფლიქტების ინსპირატორი. მივიღეთ სიტყვიერი პირობა — ყველაფერს გააკეთებენ, რომ საქართველო ევროპული პროცესის უშუალო მონაწილე გახდეს, ჩვენი წარმომადგენლები დაუშვან ჟენევის კონფერენციაზე.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ამაზე პროტესტი განაცხადა, რაზეც საკმაოდ მკაცრი პასუხიც მიიღო — ყველაფერი თქვენი ბრალია და ახლა მაინც გაჩუმდით, თავ-გზას ნუ გვიბნევთო! როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულება იცვლება, ხდება უფრო კრიტიკული, უფრო მომთხოვნი (პრესითა და ტელევიზიით გორბაჩოვს სასტიკად ამუშავებდნენ, შეიძლება ითქვას, ამათრახებდნენ).

საქართველოში გაერო-ს კომისიის ჩამოსვლისა და საქართველოს საერთაშორისო კონფერენციებში დაშვების გარდა, ჩვენ შემდეგი საკითხები დავაყენეთ — მოგვცენ დასავლეთში ჩვენი კანონების ექსპერტიზაზე გატანის საშუალება, აღმოგვიჩინონ მეთოდიკური ხასიათის დახმარება, დაგვეხმარონ კადრების მომზადების საქმეში.

ჩვენს მოთხოვნებს კონფერენციის მონაწილეთა მხრიდან პოზიტიური რეაგირება მოჰყვა, როგორც ოფიციალურ, ისე პირად ურთიერთობების დონეზე. კონფერენციის არაერთმა მონაწილემ გამოთქვა ჩვენთან პირდაპირი, საქმიანი კონტაქტების დამყარების სურვილი, აღგვითქვა დახმარება და ხელშეწყობა. უახლოეს მომავალში მათ, ალბათ, საქართველოში მოვიწვევთ.

ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გარკვეულად მოხერხდა ინფორმაციული ბლოკადის გარღვევა, დასავლეთს მიეწოდეთ ობიექტური ინფორმაცია, გავაცანით ჩვენი პოზიცია. კონფერენციაზე იყო ასეთი შემთხვევა, — თავდაპირველად სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი და საქართველოს საკითხი ერთ კომისიაში გააერთიანეს რეგიონალური პრინციპით, მაგრამ როდესაც ავუხსენით, რომ საერთო ამ პრობლემებს არაფერი აქვთ, თვითონ კომისიის თავმჯდომარემ მოითხოვა ცალ-ცალკე მოეწყოთ განხილვა, რაც შესრულდა კიდეც, ხოლო შემდეგ მან პლენარულ სხდომაზე ამის შესახებ განცხადება გააკეთა. ეს, ალბათ, ჩვენს პატარა გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს.

თუ ჩვენ არ გავარღვიეთ ინფორმაციული იზოლაცია, ვერც უფლებრივ იზოლაციას გავარღვევთ. თუ მსოფლიოში ჩვენი ამბავი ჩვენ თვითონ არ გავიტანეთ, მიზანს ვერ მივაღწევთ, ყოველ შემთხვევაში, ძლიერ გაგვიჭირდება. ამიტომ, დასავლეთთან უშუალო ურთიერთობის ყოველი შემთხვევა უნდა გამოვიყენოთ, ამისათვის არაფერი არ უნდა დავიშუროთ.

კონფერენციიდან ჩამოვიტანეთ საკანონმდებლო აქტები, გაერო-ს მიერ მიღებული დოკუმენტები ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში. ამგვარი მასალები საქართველოში ნაკლებადაა, არადა, მათი ცოდნა აუცილებელია. უნდა ვიცოდეთ, რა ხდება გაერო-ში, რა ხდება მსოფლიოში, რომ სწორად განვსაზღვროთ მიმართულება, რომლითაც მომავალში ვივლით.

კონფერენციაში მონაწილეობა ძალზე სასარგებლო იყო აგრეთვე გამოცდილების მიღების თვალსაზრისითაც.

ოსლოში დავესწარით ნორვეგიის მეფის დაკრძალვას. ნორვეგიელებს უზომოდ უყვარდათ თავისი მეფე, მას ნორვეგიის დამოუკიდებლობის სიმბოლოდ აღიქვამდნენ, დაკრძალვის ცერემონიამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. თანაგრძნობის ნიშნად, საქართველოს პარლამენტისა და ტრადიციონალისტთა კავშირის სახელით, პატარა თაიგულს წარწერა გავუკეთეთ და ცხედარი შევამკეთ.

(სხვათა შორის, დაკრძალვაზე ჩამოსული იყო სსრკ ვიცეპრეზიდენტი იანაევი. ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მას ისე ცივად დახვდნენ, ისე მკაცრად ელაპარაკნენ, რომ ამის შემდეგ მან საბჭოთა საელჩოს მუშაკები, შეიძლება ითქვას, დაცოფა, ქვეყნის ინტერესებს არ იცავთ, სწორ ინფორმაციას არ აწვდით აქაურებსო: მაგრამ როდესაც გაიგო ახლა დანიის წარმომადგენლები აპირებდნენ მასთან საუბარს, ველარ გაუძლო და ოსლოდან გამოიქცა).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, ოსლოს საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა უთუოდ დაგვეხმარება საერთაშორისო ასპარეზზე გასვლაში, დაგვეხმარება დასავლეთის მხარდაჭერის მოპოვებაში, დაგვეხმარება ჩვენი მიზნის მიღწევაში.

# დასრულდა საბჭოთა სახელმწიფო სისტემის დემონტაჟი

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ. პრეფექტი, საკრებულო, გამგებელი — მრავალი ახალი ტერმინი გაჩნდა ჩვენს ლექსიკონში და ათასგვარი მითქმა-მოთქმაც გამოიწვია. პრეფექტის ინსტიტუტის შემოღებამ ცოტა არ იყოს დააფიქრა საზოგადოება და არაკეთილგანწყობილი ჟურნალისტების პუბლიკაციებშიც (მაგ. „იზვესტიას" კორესპონდენტის ბ. ურიგაშვილის) უცბად აჟღერდა ნოტა — არიქა, უზენაესი საბჭო დიქტატორებს უმზადებს საქართველოს. გავითვალისწინოთ, რომ პრეფექტის თანამდებობა ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნიდან არსებობს რომში. დღეს ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში არსებობს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობაზე. მაგ. საფრანგეთში, 1982 წლიდან არსებობს მთავარი კომისრის თანამდებობა, იტალიაში ძალზე დიდი უფლებამოსილებით სარგებლობს პრეფექტი, ასეთივე ინსტიტუტი არის იაპონიაში, მთავრობისა და ცენტრალური ხელისუფლების აგენტების არსებობა საკონსტიტუციო სამართლით გათვალისწინებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში და სხვა ცივილიზებულ სახელმწიფოებში, ასე რომ, საქართველო ორიგინალური ვერ იქნება პრეფექტის ინსტიტუტის შემოღებაში, იგი ემყარება მხოლოდ პროგრესული კაცობრიობის გამოცდილებას.**

**როგორ გაჩნდა ეს იდეა, რა წინაპირობები ჰქონდა ყოველივე ამას, რას გულისხმობს „საქართველოს რესპუბლიკის კანონი გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ" — ამ საკითხებზე გვესაუბრებიან საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგე, სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირის გამგეობის წევრი ბატონი იაკობ ფუტკარაძე, თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის დოცენტი, სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ავთანდილ დემეტრაშვილი, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირის თავმჯდომარე ბატონი ტარიელ კუტულაშვილი, საქართველოს უზენაესი საბჭოს მდივანი, დეპუტატი გიორგი გულბანი, უზენაესი საბჭოს სხდომების სამდივნოს თავმჯდომარე, დეპუტატი ალეკო ქობულაშვილი.**



ბატონი **იაკობ ფუტკარაძე** — ის თავისებურებანი, რომელიც ამ კანონს ახასიათებს, გამოწვეულია საქართველოში დღეს შექმნილი სიტუაციით. კანონს ეწოდება „საქართველოს რესპუბლიკის კანონი გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ". თვით ეს სახელწოდება განსაზღვრავს მის მიზან-დანიშნულებას. თუ ზოგადად შევაფასებთ ამ კანონის მნიშვნელობას, მისი მიღებით საქართველოში, იურიდიულად შემოღებით ფაქტობრივად დასრულდა საბჭოთა სახელმწიფო სისტემის დემონტაჟი, ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი ორგანოს სისტემის ცვლილება განხორციელდა, ახლა კი დარჩენილი ადგილობრივი ორგანოებისგან იქმნება ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ახალი სისტემა. რა თქმა უნდა, იგი არ არის საბოლოო, ის მხოლოდ გარდამავალი პერიოდისათვის არის გათვალისწინებული და სრულ თვითმმართველობაზე გადასვლა უკვე შემდგომ პერიოდში უნდა განხორციელდეს. არსებობს ორგანიზაცია „სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირი", რომელიც იმისათვის არის მოწოდებული, რომ განახორციელოს სრულ თვითმმართველობაზე გადასვლა. საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის ახალი სტრუქტურის მიხედვით გათვალისწინებულია სპეციალური ორგანო — მინისტრთა საბჭოსთან მოქმედი ეკონომიკური რეფორმისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო კომისიის სახით. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მინისტრთა საბჭოს ამ კომისიისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირის" ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდება სრულ ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადასვლა.

მართალია, ჩვენ შემოგვაქვს უცხოური ტერმინი — პრეფექტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს კანონი მოწყვეტილია ეროვნულ ნიადაგს, ქართულ სამართლებრივ კულტურას. აქ შემოტანილია ზოგიერთი ძველი ქართული სახელმწიფო-სამართლებრივი ტერმინი, რომელიც გამოიყენებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობაში, ზოგი უფრო ადრეც, ადრინდელ ქართულ კანონმდებლობაში, ასეთია მაგალითად: „გამგებელი" — ეს თანამდებობა გათვალისწინებულია მე-14 საუკუნის ქართულ საკანონმდებლო ძეგლში „გიორგი ბრწყინვალის სამართალი", იგი განკუთვნილი იყო დღევანდელი მთიულეთისათვის. „საკრებულო" გამოიყენებოდა მე-19 საუკუნის საქართველოს ადგილობრივ მმართველობაში და ადგილობრივ თვითმმართველობაში. ამით იმის თქმა მინდა, რომ პრეფექტის ინსტიტუტის დამკვიდრებამ არ უნდა შექმნას უცხოური სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტის გადმოღების შთაბეჭდილება. აქ არის ერთგვარი სინთეზი ეროვნულისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული ადგილობრივი მმართველობის გამოცდილებისა.



ბატონი **ავთანდილ დემეტრაშვილი** — მიუხედავად იმისა, რომ კანონი ადგილობრივი მმართველობის შესახებ გარდამავალი პერიოდისთვის არის გათვალისწინებული, მასში უკვე არის წანამძღვრები სრულ ეკონომიკურ თვითმმართველობაზე გადასვლისა. უბრალოდ დღეს ჩვენი პოლიტიკური ვითარება არ იძლევა თვითმმართველობის დამყარების საშუალებას, მაგრამ ამ კანონით უკვე შექმნილია მყარი ეკონომიკური საფუძველი სრულ ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადასვლისთვის.

ზოგიერთი დეპუტატის გამოსვლიდან და საგაზეთო პუბლიკაციიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პრეფექტს ექნება აბსოლუტური უფლებამოსილება. ეს ასე არ არის. გავიხსენოთ თუნდაც მისი დანიშვნის წესი. პრეფექტს ნიშნავს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის წარდგინებით და მისი კანდიდატურა შეთანხმებული უნდა იყოს მინისტრთა საბჭოსთან. ე. ი. პრეფექტი ანგარიშვალდებულია მინისტრთა საბჭოს, პრეზიდიუმის და მისი თავმჯდომარის წინაშე, გარდა ამისა, ადგილობრივ მოსახლეობას აქვს უფლება კონტროლი გაუწიოს მის საქმიანობას, ვინაიდან კანდიდატურის შერჩევის დროს მოსახლეობის აზრი იქნება გათვალისწინებული.



ბატონი **გიორგი გულბანი** — ადგილობრივი მმართველობის სისტემა იქმნება არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში, ეს დაყოფა კი დღეს არ არის სრულყოფილი. არადა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. ჩვენს მიერ მიღებული კანონი იმდენად მოქნილია, რომ ისეთ მსხვილ ერთეულებში, როგორიცაა რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები (მაგ. თბილისი, რომელსაც რაიონული დაყოფა აქვს) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შეცვლის ან გამსხვილების შემთხვევაში, გვაძლევს საშუალებას ხელახალი არჩევნები არ ჩავატაროთ, ე. ი. დავზოგოთ დიდძალი დრო და თანხა.

რაც შეეხება პრეფექტს, დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება ფაქტობრივად არ არსებობს, ანდა არსებობს და სახელმწიფოს ინტერესებს არ იცავს, უზრუნველყოფს ორ მნიშვნელოვან მომენტს: პირველი — მინისტრთა საბჭოს ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა განხორციელებას ადგილებზე, მეორე — სეპარატისტული ზრახვების ადგილზევე დროულად ალაგმვას, კანონის საფუძველზე უზრუნველყოფს საერთო რესპუბლიკური ინტერესების დაცვას ადგილებზე, რომ პარტიკულარიზმმა არ გამოიწვიოს ქაოსი და საერთო რესპუბლიკური ინტერესების უგულებელყოფა.



ბატონი **ტარიელ კუტულაშვილი** — საჭიროა ისიც ითქვას, თუ როგორ გაჩნდა ყოველივე ამის იდეა. როდესაც დაიწყო საბჭოური სტრუქტურების დემონტაჟი, საჭირო გახდა თვითმმართველობის ელემენტის შემოტანა რესპუბლიკაში. ყველა რესპუბლიკა და საზღვარგარეთის ქვეყნებიც ძირითადად თვითმმართველობის იდეას იზიარებენ.

ამ თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძველი რომ შევადაროთ ბალტიისპირეთის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის თვითმმართველობის ეკონომიკურ საფუძველს, არსებით განსხვავებას ვერ ვნახავთ — ეკონომიკური საფუძველი, ადგილობრივი მეურნეობა, საფინანსო ბაზა, ბიუჯეტი, შემოსავალი, გასავალი, თითქმის ასეთივეა. ამჟამად დგას საკითხი, როგორ გადავიდეთ მმართველობაზე, როგორ შევქმნათ ეს ეკონომიკური საფუძველი. ერთ-ერთ რთულ საკითხად რჩება ადგილობრივი და რესპუბლიკური, ე. ი. უწყებრივი და ადგილობრივი ინტერესების შეხამება. საჭიროა რესპუბლიკური უწყებრივი დაქვემდებარების გარკვეული საწარმოები გადავიდნენ ადგილობრივი მმართველობის საკუთრებაში. ამაზე მიმდინარეობს მუშაობა და, ალბათ, მინისტრთა საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, თუმცა ორგანიზაციების ადგილობრივ მმართველობაში გადაცემამ შეიძლება შექმნას სირთულეები, კარგად უნდა განისაზღვროს რომელი კატეგორიის საწარმოები უნდა გადავიდეს ადგილობრივი მმართველობის ხელში.



ბატონი **ალეკო ქობულაშვილი** — „ადგილობრივი მმართველობის კანონი გარდამავალ პერიოდში" არის პირველი კანონი ბოლო ორასი წლის მანძილზე, რომელიც დამოუკიდებლად შეიქმნა ქართულ სამართლებრივ აზროვნებაზე დაყრდნობით. არ ყოფილა კანონი, რომელიც არ გვეთარგმნოს, ეს არის ჩვენს მიერ შემუშავებული ერთ-ერთი პირველი კანონი. იგი ჩვენ გამოგვადგება მაშინ, როცა დადგება საკითხი რაიონული დაყოფის შეცვლისა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის იმ პრინციპით, რომელიც ისტორიულად შეესაბამება ქართულ ტერიტორიულ მოწყობას.

კიდევ ერთი, პრეფექტი არ შეიძლება ჩაითვალოს დიქტატურის საშუალებად. თუ დაინტერესებული მკითხველი ყურადღებით წაიკითხავს კანონს, ის დაინახავს, რომ ეს კანონი თავისთავად გამორიცხავს დიქტატურას. მიუხედავად ამისა, სესიებზე გამოსვლებში ჟღერდა ნოტები, თუ რა საშიშია პრეფექტის ინსტიტუტის შემოღება. თითქოსდა ეს არის მცდელობა აღმასკომის თავმჯდომარისა და კომპარტიის (!) მდივნის თანამდებობების შენარჩუნების შექმნისა. სამწუხაროა, რომ ასეთი უპასუხისმგებლო შედარებანი სესიაზე შემდგომ ჰპოვებს გამოხატულებას პრესაში. ყველამ კარგად უნდა შეისწავლოს ის კანონი, რომლის შესახებაც აპირებს საუბარს.

ჩვენს საუბარს შემოესწრო ბატონი ვახტანგ ხმალაძე („დას"-ის თავმჯდომარის მოადგილე) და გაიმართა კამათი, რომლის არსის გადმოცემაც საჭიროდ ჩავთვალეთ.



ბატონი **ვახტანგ ხმალაძე**: მეც მიმაჩნია, რომ დღეს აუცილებელია პრეფექტურის ინსტიტუტის შემოღება საქართველოში. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გარდა, რაც განაპირობებს ამ ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობას, ერთსაც აღვნიშნავდი: ადრე არსებული ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები გადაწყვეტილებებს ფორმალურად კოლეგიურად იღებდნენ, თუმცა ფაქტობრივად ყველა საკითხს ერთი პირი წყვეტდა. როგორც წესი, ეს იყო კომპარტიის ცკ-ის, ქალაქკომისა თუ რაიკომის პირველი მდივანი და უკანონო თუ არასწორი გადაწყვეტილების მიღებისას პასუხისმგებლობა მას ვერ ეკისრებოდა. ახლა, მართალია, პრეფექტს დიდი უფლებები მიეცა, [illegible] ეთხოვება. [illegible] ცნობილი იქნება [illegible], რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიღებისა თუ შესრულების თაობაზე. აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი საშიშროება, რომელიც, ჩემი აზრით, შეიძლება შეიქმნას ამ კანონის განხორციელებისას. საქმე ისაა, რომ ადგილობრივ მმართველობას პრეფექტთან და პრეფექტურასთან ერთად ახორციელებენ საკრებულოთა გამგეობებიც, ხოლო რიგ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებენ საკრებულოები და თუ მათი უფლებამოსილებანი მკვეთრად არ იქნა გამიჯნული, შესაძლოა მათ შორის მოხდეს არასასურველი დაპირისპირება. აუცილებელია, რომ ამგვარი გამიჯვნა გაკეთდეს საკრებულოთა რეგლამენტების, გამგეობის სტრუქტურისა და მუშაობის შესახებ დადგენილებისა და პრეფექტურის შესახებ კანონის შემუშავებისას და რაც უფრო სწრაფად გადაწყდება ეს საკითხები, მით უკეთესი იქნება. ცხადია, ეს გამიჯვნა ისე არ უნდა გაკეთდეს, რომ საკრებულოები და გამგეობები უფუნქციოდ დარჩნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი არჩევნები აზრს დაკარგავს.

ჩვენ ბატონ **გ. გულბანს** ვთხოვეთ, რათა გამოეთქვა ამის თაობაზე საკუთარი აზრი:

— საკრებულო არის ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო მისი გამგეობა, ან გამგებელი აღმასრულებელი სოფლად და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის დონეზეც (ისევე, როგორც თბილისის რაიონებში).

ადგილობრივი ხელისუფლება უნდა წყვეტდეს სოციალური პოლიტიკის საკითხს, სოციალურ-პოლიტიკური საკითხები არ უნდა უპირისპირდებოდეს ქვეყნის სტრატეგიულ-პოლიტიკურ საკითხებს, ხოლო სოციალური პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროში საკრებულოს აქვს სრული თავისუფლება.

რაც შეეხება გამიჯვნას, სავსებით ვეთანხმები ბატონ ვახტანგს, კანონი პრეფექტურის შესახებ და საკრებულოს საორიენტაციო რეგლამენტზე ამჟამად მუშავდება, მასში საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს — გამგეობის უფლებამოსილებანიც იქნება განსაზღვრული. უახლოეს მომავალში ამ კანონს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია განიხილავს.

რაც შეეხება პრეფექტის ძალაუფლებას, მას შეუძლია საკრებულოს დაშლის საკითხის დაყენება უზენაესი საბჭოს წინაშე და არა მისი დაშლა. პრეფექტს აქვს უფლება გააუქმოს საკრებულოს მხოლოდ ის გადაწყვეტილებანი, რომელნიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. აქ მთავარია შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომ პრეფექტმა თვითნებობა არ გამოიჩინოს და იმის მომიზეზებით, რომ საკრებულოს გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, გააუქმოს საკრებულოს ნებისმიერი გადაწყვეტილება. პრეფექტი არ არის ყოვლისშემძლე, მის გადაწყვეტილებებს აკონტროლებს უზენაესი საბჭო და პროკურატურა. პროკურატურას აქვს უფლებამოსილება, რომ პრეფექტის საქმიანობა აკონტროლოს, რათა მის ხელში ერთპიროვნულად არ ჩავარდეს ძალაუფლება.

კანონში შეგნებულად არ არის ჩამოთვლილი, თუ რა სახის კომისიები იქნება საკრებულოში, რადგან ეს განისაზღვრება რეგიონის (და მისი გამგეობის) თავისებურებათა მიხედვით. შეიძლება ერთ რეგიონში საჭირო იყოს ერთი სახის კომისიის შექმნა, მეორეში სხვაგვარი, ეს საკითხი გადაწყდება კონკრეტული საკრებულოს რეგლამენტში.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების მიერ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას, ამან შეიძლება სერიოზული უარყოფითი შედეგები გამოიღოს, ხოლო თუ არსებობს ისეთი პოლიტიკური პარტიები, რომელთაც სურთ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში გამარჯვების შედეგად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ხელისუფლება ადგილებზე ჩაკლან, ეს კანონი ამის საშუალებას, რასაკვირველია, არ იძლევა.

მოამზადა
**მაია გამცემლიძე**

რედაქტორი მარიკა აბაიშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ კორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14, ტელეფონი 98-31-57

ინდექსი 66421

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა №29

ფასი 50 კაპ.